

სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ  
მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

## კოტე თოდუა

გიორგი წერეთელი და რეალიზმის პრობლემები  
ქართულ ლიტერატურაში

სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის  
დოქტორის (PH.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაციის

ა გ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი – 2009

ნაშრომი შესრულებულია სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

**ნინო ვახანია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოც. პროფესორი

ოფიციალური რეცენზენტები:

**მედეა კვარაცხელია**

ფილოლოგიის დოქტორი

**ემზარ კვიციანი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის  
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

დისერტაციის დაცვა შედგება 2009 წლის 4. 12. 14 საათზე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე.

მისამართი: **თბილისი, ჯიქიას ქ. N 9.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივნის მ. შ.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

სრული პროფესორი

**ო. პეტრიაშვილი**

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალობა, კვლევის მეთოდი და მეცნიერული სიახლე:** საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ხელოვნებას, სიტყვაკაზმულ მწერლობას შორის მჭიდრო კავშირია, ვინაიდან ნებისმიერი მოვლენა თავისებურ ასახვას პოულობს მხატვრულ შემოქმედებაში. ასეთი მოვლენები ქართველი ხალხის ცხოვრებაში მკვეთრად გამოვლინდა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში რუსეთში განხორციელებული ბურჟუაზიული რეფორმების შემდეგ, რომლის შედეგად დაიწყო საზოგადოებრივი ურთიერთობის გარკვეული ლიბერალიზაცია, ისედაც არამყარი ნატურალური მეურნეობის რღვევა და წარმოების კაპიტალისტური წესის დამკვიდრება; თავად-აზნაურობის გადარიბება და მორალური დაქვეითება, ყოფილი ყმა-გლეხობის ქონებრივი დიფერენციაცია, ახალი სოციალური ფენის-სავაჭრო-სავახშო ბურჟუაზიის სწრაფი ზრდა და სხვა. ეს მოვლენები, მართალია, საქართველოში უფრო ადრე დაიწყო, მაგრამ სწორედ ამ პერიოდისათვის (XIX ს-ის 60-70-იან წლებში) გახდა აშკარად შესამჩნევი. ყოველივე ამან წინა პლანზე წამოსწია ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის მხატვრული ასახვის პრობლემა. აქვე გვინდა დავამატოთ, რომ ქართული მწერლობისათვის მთელი თავისი არსებობის მანძილზე არასოდეს ყოფილა უცხო და მიუღებელი საკუთარი ხალხის ინტერესების ასახვა ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივი მოვლენების გათვალისწინებით.

სწორედ XIX საუკუნის 60-70-იან წლებში სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოდის „თერგდალეულთა“ ღირსეული წარმომადგენელი გიორგი წერეთელი. მან მართებულად შეაფასა არსებული რეალობა და თავისი ესთეტიკური შეხედულებებითა თუ მხატვრულ-პუბლიცისტური შემოქმედებით სხვა სამოციანელებთან ერთად ხელი შეუწყო ჩვენს მწერლობაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებას. უფრო მეტიც, მან ეს ლიტერატურული მიმდინარეობა განვითარების გარკვეულ საფეხურზე აიყვანა თანადროული ეპოქის მოთხოვნილებების შესატყვისად.

გიორგი წერეთელმა, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მიუკერძოებელმა მემატიანემ, აღწერა ყველა ის ძირითადი პროცესი და მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოვლინდა XIX საუკუნის მე-2 ნახევარში. მის მხატვრულ ნაწარმოებებში უხვად შეხვდებით იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ცნობილი მოვლენების აღწერას, ისტორიულ დეტალებს, ავტობიოგრაფიულ მომენტებს, რის გამოც მას თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ სოციალური და დოკუმენტური პროზის ოსტატი.

გიორგი წერეთელმა პრინციპულ სიმაღლემდე აიყვანა ნიკო ნიკოლაძის მიერ წამოყენებული ე. წ. „შეუფერავი რეალიზმის“ საკითხი, რითაც გარკვეულწილად დაუპირისპირდა კიდევ „პირველდასელების“, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის (როგორც თვითონ უწოდებდა) „შეუფერილ რეალიზმს.“ სწორედ ამან XIX საუკუნეშივე გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა მის შემოქმედებაზე, რაც გარკვეულწილად დღესაც გრძელდება. ლიტერატურის ზოგიერთი მკვლევარი (კიტა აბაშიძე, ვახტანგ ვახანია) მის მიერ საკუთარ შემოქმედებით მეთოდად აღიარებულ „შეუფერავ რეალიზმს“ ნატურალიზმთან აიგივებს, ზოგიერთი (გიორგი ჯიბლაძე, მიხეილ გაფრინდაშვილი), თუ შეიძლება ასე ითქვას, რაღაც შეუადრურ რგოლად მიიჩნევს კრიტიკულ რეალიზმსა და ნატურალიზმს შორის. თუმცა, როგორც ცნობილია, ლიტერატურათმცოდნეობა ასეთ მიმდინარეობას საერთოდ არ იცნობს. სწავლულთა უმრავლესობა კი მიიჩნევს, რომ „შეუფერავი რეალიზმი“ იგივე კრიტიკული რეალიზმია და მათ შორის მნიშვნელოვანი თუ პრინციპული სხვაობა არ არსებობს. ამ თვალსაზრისს იზიარებენ მიხეილ ზანდუკელი, აპოლონ მახარაძე, ალექსანდრე ჭილაია, ოთარ ჭურღულია, დავით გამეზარდაშვილი და მრავალი სხვა. ჩვენც მიგვაჩნია, რომ გიორგი წერეთლის „შეუფერავი რეალიზმი“ იგივე კრიტიკული რეალიზმია, რომელიც მწერალმა თანადროული ეპოქის მოთხოვნილებიდან გამომდინარე განვითარების გარკვეულ საფეხურზე აიყვანა, ხოლო ლიტერატურის ზოგიერთ საკითხებზე დაპირისპირება ილია ჭავჭავაძესთან გამოწვეულია უფრო პოლემიკური სიმწვავეთ და არა პირველის მიერ ამ უკანასკნელის შემოქმედებითი მეთოდის სრული მიუღებლობით.

გიორგი წერეთლის მხატვრულ-პუბლიცისტური შემოქმედების შესწავლის საკითხს თავის დროზე არა ერთი მკვლევარი შეეხო, მაგრამ მწერლის მრავალმხრივი მემკვიდრეობის სისტემური და სრულყოფილი მეცნიერული კვლევა დღემდე არ მომხდარა. მართალია, მისი ნაწერების 15 ტომად გამოცემას თავის დროზე შეუდგა ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი სილოვან ხუნდაძე, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა. ქართველ მკითხველს დღემდე არ უხილავს ისეთი გამოცემა, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა ყველაფერი, რაც კი შეუქმნია გიორგი წერეთელს: პუბლიცისტური სტატიები, რომანები, პიესები, პოემები, ლექსები, ზღაპრები, პირადი წერილები და სხვ. ბევრი გააკეთდა მისი შემოქმედების დაფასებისათვისაც, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს არასაკმარისია და ჯერ კიდევ ძალაშია ცნობილი ხალხოსანი მწერლის სოფრომ მგალობლიშვილის მიერ 1914 წელს გულისტკივილით ნათქვამი სიტყვები: „ეს დაუცხრომელი და პატიოსანი მოღვაწე აქნობამდე სათანადოდ არ არის დაფასებული ჩვენი კრიტიკის მიერ... დასანანია ასეთი გულგრილობა გიორგისადმი.“

ჩვენი ნაშრომი წარმოადგენს ამ ხარვეზის გამოსწორების მოკრძალებულ მცდელობას რეალიზმის პრობლემების მიმოხილვასთან ერთად.

ნაშრომი ერთგვარი მცდელობაა გიორგი წერეთლის მხატვრულ-პუბლიცისტური შემოქმედებისა და ფილოსოფიურ-ესთეტიკური შეხედულებების სისტემური თუ მეცნიერული შესწავლა-ანალიზისა ქართულ და ევროპულ მწერლობაში რეალიზმის წარმოშობა-განვითარების ზოგად მიმოხილვასთან ერთად. ამ მიზნით ჩვენ შევეცადეთ ერთმანეთისათვის შეგვედარებინა პირველ (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი) და მეორე (ნიკო ნიკოლაძე) „დასელთა,“ ნატურალიზმის უდიდესი თეორეტიკოსის ემილ ზოლასა და გიორგი წერეთლის ესთეტიკური შეხედულებები; ამავე დროს ჩვენს მიზანს წარმოადგენდა ამ უკანასკნელის თხზულებათა მხატვრულ-იდეური ანალიზი მწერლის მსოფლმხედველობისა თუ ლიტერატურული ნააზრევის სპეციფიკის ჩვენებასთან ერთად. ყოველივე ამან მიგვიყვანა ლოგიკურ დასკვნამდე, რომ გიორგი წერეთლის „შეუფერავ რეალიზმსა“ და ილია ჭავჭავაძის „შეფერილ რეალიზმს“ შორის პრინციპული სხვაობა არ არსებობს. უფრო მეტიც, „შეუფერავი რეალიზმი“ წარმოადგენს არა ნატურალიზმს, არამედ „პირველდასელთა“ მიერ ჩვენში საბოლოოდ დამკვიდრებული კრიტიკული რეალიზმის განვითარების ერთ-ერთ საფეხურს მწერლის თანადროული ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

**დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა:** დისერტაცია შედგება კომპიუტერზე ნაბეჭდი 179 გვერდისაგან, რეზიუმესა და ბიბლიოგრაფიის გარეშე. გამოყენებული ლიტერატურის სია მოითვლის 119 დასახელებას. თვითონ ნაშრომი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: I. შესავალი, გვ. 1-4; II. საკვლევი პრობლემის შესწავლის დონე, გვ. 5-15; III. ძირითადი ნაწილი: ა. რეალიზმის წარმოშობის ზოგადი მიმოხილვა ევროპულ ლიტერატურაში, გვ. 16-30; ბ. ძველი ქართული მწერლობა (V-XVIII სს.) რეალიზმის თვალთახედვით, გვ. 31-43; გ. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურა რეალიზმის თვალსაზრისით, გვ. 44-61; დ. კრიტიკული რეალიზმის საკითხები ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ესთეტიკაში, გვ. 62-81; ე. გიორგი წერეთელი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, გვ. 82-88; ვ. „შეუფერავი რეალიზმის“ წარმოშობა და მისი არსი, გვ. 89-109; ზ. გიორგი წერეთელი – ქართული კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი და განმახილველი, გვ. 110-166; IV. დასკვნა, გვ. 167-182.

## ნაშრომის ძირითადი შინაარსი

ნაშრომის ძირითადი ნაწილის პირველ თავში (რეალიზმის წარმოშობის ზოგადი მიმოხილვა ევროპულ ლიტერატურაში) ნახვენებია, რომ ლიტერატურა, როგორც ხელოვნების უძველესი და უმთავრესი დარგი, მხატვრული სიტყვის მეშვეობით შეიმეცნებს გარე სამყაროს და საზოგადოების განვითარებასთან ერთად არაერთგვაროვნად, მაგრამ განუხრელად ვითარდება და ისტორიულად ცვალებადია, წარმოადგენს რა მდგრადობისა და ცვალებადობის, მემკვიდრეობითობისა და ნოვატორობის ურთიერთქმედების პროცესს. ამავე დროს ის გვიჩვენებს ინდივიდის ცხოვრებას ხალხისა თუ საზოგადოების წიაღში. ადამიანი, საზოგადოება მთლიანად, ან რომელიმე სოციალური ფენა და ბუნება თავიანთი ურთიერთქმედებით წარმოადგენს ლიტერატურის ასახვის საგანს, ხოლო სიტყვა – მხატვრული სახის მუდმივ და უცვლელ მასალას.

ლიტერატურა, ერთი მხრივ, ასახავს სინამდვილის რეალურ სურათებს ჭეშმარიტი თუ ისტორიული მოვლენების აღწერით, ან მხატვრული გამონაგონის მეშვეობით, რომელიც რეალური ყოფის განზოგადების შედეგია და ხშირ შემთხვევაში უფრო მართალი, ვიდრე თვით სინამდვილე; მეორე მხრივ, ის წარმოადგენს ამ სინამდვილისადმი ავტორის, შემოქმედის დამოკიდებულების გადმოცემას, ან გვიჩვენებს იმ გრძნობა-განწყობილებას, რომელსაც ესა თუ ის მოვლენა იწვევს მწერლის შინაგან ბუნებაში. ეს უკანასკნელი თავის მხრივ სინამდვილითაა განპირობებული და წარმოადგენს რეალური ადამიანის რეალური წარმოსახვის შედეგს. აქედან გამომდინარე „ლიტერატურის არსი მდგომარეობს სინამდვილის მხატვრულ ასხვაში. თითოეული ლიტერატურული ნაწარმოების ღირებულება განისაზღვრება იმით, თუ რამდენად სრულყოფილად და მაღალმხატვრულად ასახავს იგი სინამდვილეს, მის არსებით მხარეებს.“ (დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, ნაწ. II, გვ. 7, თბ. 1957 წ.). ამ დიდი ამოცანის შესრულებაში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს მხატვრული მეთოდი. ეს უკანასკნელი თავის მხრივ ისტორიულად დაკავშირებულია შემეცნებასთან, საზოგადოებრივი ცნობიერების დონესთან. ამავე დროს მის სრულყოფასა და საბოლოო ფორმირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს მწერლის მსოფლმხედველობა და ტალანტი.

საზოგადოებაში მიმდინარე ისტორიულ ცვალებადობასთან ერთად იცვლებოდა მხატვრულ-შემოქმედებითი მეთოდები ან ადგილი ჰქონდა მათ განვითარებასა თუ კრიზისს, მაგრამ არც ერთი ხალხის მწერლობაში, მათ შორის

ქართულში, არასოდეს გაწყვეტილა განვითარების ერთიანი ჯაჭვი – წინამორბედი ხანის ლიტერატურა ყოველთვის ახდენდა გავლენას მომდევნოზე.

რეალიზმი თუ მისი ელემენტები, რა თქმა უნდა, სხვადასხვა დოზითა და ფორმით დამახასიათებელია ყველა დროის ხელოვნებისათვის, მათ შორის სიტყვაკაზმული მწერლობისთვისაც. დღეს უკვე უდავოა ის ფაქტი, რომ ე.წ. „პრიმიტიული რეალიზმი“ ახასიათებს თვით პრეისტორიული – ქვის ხანის ადამიანის მხატვრულ შემოქმედებასაც. ის წარმოადგენს არა მხოლოდ სინამდვილის ასახვას, არამედ გარკვეული მსოფლმხედველობის მატარებელიცაა. რაც შეეხება ანტიკური ეპოქის ხელოვნებას, ის ერთდროულად შეიცავდა რეალისტურ და ილუზიონურ-ფანტასტიკურ, თუმცა მაშინდელი მკითხველისათვის სარწმუნო წარმოდგენებს სამყაროზე; ის მოიცავდა სტიქიურ დიალექტიკას და ამკვიდრებდა პიროვნების, საზოგადოებისა და ინდივიდის შინაგანი სამყაროს ერთიანობის კონცეფციას. ლიტერატურა მიიჩნეოდა სინამდვილის მიბაძვად, როგორც მექანიკური (პლატონი) და შემოქმედებითი (არისტოტელე) პროცესი, რომელიც წარმოუდგენელია კაცობრიობის ისტორიულ განვითარებასთან მჭიდრო კავშირის გარეშე (ლუკრეციუსი). ის სინამდვილეს ან მისადმი დამოკიდებულებას გადმოგვცემდა მითების, როგორც პირველწყაროს, საშუალებით. სწორედ ამიტომ მას თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ მითოლოგიურ-ანტიკური რეალიზმი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ადამიანის ჰეროიკული კონცეფცია და, რომელიც ამკვიდრებდა ინდივიდის, პიროვნების, საზოგადოების შინაგანი სამყაროს ჰარმონიულობის იდეას. თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ის ემორჩილება ბედისწერას და ხშირ შემთხვევაში საკუთარ დაღუპვასაც ვერ იცილებს თავიდან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იბრძვის, რადგან მხოლოდ თავისუფალ ქმედებაში მუდგანდება აუცილებლობა.

ანტიკურმა რეალიზმმა შექმნა მამაცი და მშვენიერი ადამიანის იდეალი, ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილი გმირის სახე – გმირისა, რომელიც ჰარმონიაში ცხოვრობს გარემომცველ სამყაროსთან. ეს უკანასკნელი ძველი ბერძნებისა და რომაელების ფანტაზიით დასახლებულია დადებითი თუ უარყოფითი ადამიანური თვისებების მატარებელი მითიური არსებებით, ღმერთებითა და გმირებით. ამისი ნათელი დასტურია ჰომეროსის, ესქილეს, ევრიპიდეს, სოფოკლეს, ვერგილიუსის, ლუკრეციუსისა და სხვათა მხატვრული შემოქმედება.

ანტიკურობის ტრადიციებზე აღმოცენებულ როგორც დასავლეთევროპულ, ისე ბიზანტიურ ლიტერატურაზე უდიდეს გავლენას ახდენდა ქრისტიანული რელიგია, რაც იწვევდა ხელოვნების რეგლამენტირებულ, იკონოგრაფიულ სქემებში მოქცევას. ამის შედეგი იყო ანტიკური ხანის ჰარმონიული გმირის შეცვლა დოგმატურ

ჩარჩოებში მოქცეული ღვთისმოსავი და ქრისტიანობისათვის თავდადებული ადამიანით, რომლისთვისაც უმთავრესია ზემთაგონებით მიღებული რწმენა, როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტება. ფართო ასპარეზი მიეცა სასულიერო მწერლობის ისეთი უანრის განვითარებას, როგორცაა ჰაგიოგრაფია, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ სავსეა ალეგორიებითა და სიმბოლოებით, ძირითადად რეალურად არსებული წმინდანების ცხოვრებისა თუ წამების ამსახველია. ამავე დროს სასულიერო მწერლობის გვერდით ვითარდება საერო ლიტერატურაც, რომელსაც საფუძვლად დაედო ანტიკური ფილოსოფიის გავლენით წარმოშობილი იდეა, რომ გზა ღმერთისაკენ რწმენასთან ერთად გადის ადამიანისა და ბუნების შეცნობაზე (ავერიუსი, მოშე მაიმონიდი, თომა აქვინელი). ამისი ნათელი დასტურია „სიმღერა როლანდზე“, „ბეოვულფი“, „სიმღერა ჩემს სიდზე“ და სხვა. ამიტომ ამ დროის ლიტერატურას, როგორც სამყაროს ინტელექტუალური აღქმის შედეგს, რომელიც მაშინდელი ადამიანისათვის სარწმუნო უხილავ სამყაროს თუ ფანტასტიკურ ელემენტებთან ერთად ამქვეყნიურ რეალურ ცხოვრებასაც ასახავდა, შეიძლება ეწოდოს შუა საუკუნეების ალეგორიულ-სიმბოლური რეალიზმი.

აღორძინების ეპოქის ლიტერატურა შეეცადა სამყაროს ახსნას მისივე საშუალებით. მან ადამიანში აღმოაჩინა საკუთარ ქმედებაში თავისუფალი ინდივიდი და გვიჩვენა შუასაუკუნებრივი ასკეტიზმისაგან თავდახსნილი ტიტანური ბუნების მქონე პიროვნების ძლევა მოსილება და მშვენიერება ტრაგიზმთან ერთად. გვიჩვენოს სამყარო ისეთი, როგორც არის, მოუძებნოს მას შინაგანი ახსნა მისი მატერიული ბუნებიდან გამომდინარე – ასეთია რაბლეს, შექსპირის, სერვანტესის რეალიზმი. ამ პერიოდის მწერლობამ დაამკვიდრა პრინციპი – „აკეთე, რაც გინდა.“ სწორედ ამაშია მისი სიძლიერეც და სისუსტეც. მაშინდელი ჰუმანიზმისათვის დამახასიათებელია დაეჭვება ადამიანის არსებობის მართებულობაში, როგორც ერთ-ერთი მომენტი მისი ნაყოფიერებისა და არა ცხოვრებისეული კრედო. მოკლედ რომ ვთქვათ, ესაა აღორძინების რეალიზმი, რომელიც ახალ თვისებებთან ერთად უცილობლად ატარებს შუა საუკუნეებისა და განსაკუთრებით ანტიკურობისათვის დამახასიათებელ ნიშნებსაც.

XVII-XVIII საუკუნეების მწერლობა ვითარდება გამწვავებული სოციალური ვითარების ფონზე, როდესაც არისტოკრატის პოზიციებს არყვეს ეკონომიკურად მოღონიერებული ბურჟუაზია. აღორძინების ტიტანური ბუნების მქონე თავისუფალ ინდივიდუალისტს ამ პერიოდის ლიტერატურაში ცვლის მარჯვე, მოხერხებული, პოლიტიკის ჩარჩოებში თავისუფლებისათვის მებრძოლი მოქალაქე, რომელიც ცდილობს განათლების გზით თავისი ადგილი დაიმკვიდროს საზოგადოებაში. ამავე



დროს ამ პერიოდის მწერალთა მხატვრული თხზულებები შეიცავენ არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების კრიტიკასაც და სახავენ გზას მის შესაცვლელად. ტიპიზაციის ძირითად ობიექტად ქცეულია ხასიათების სოციალური არსი, მაგრამ ტიპური ხასიათები აქ მოქმედებენ ექსპერიმენტულ და არა ტიპურ გარემოში. ასეთია დანიელ დეფოს, ჯონათან სვიფტის, გეორგ ფილდინგის, პიერ ბომარშეს და სხვათა შემოქმედება. ეს იყო იმ იდეური მოძრაობის შედეგი, რომელიც განმანათლებლობის სახელითაა ცნობილი. მისი ფუძემდებელია ინგლისელი მოაზროვნე ჯონ ლოკი. განმანათლებლობამ თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია საფრანგეთში, რომელმაც მოგვცა მოაზროვნეთა ბრწყინვალე პლეადა ვოლტერის, დიდროს, მონტესკიეს, რუსოს სახით. მათ ლიტერატურაში და საერთოდ ხელოვნებაში დაამკვიდრეს განმანათლებლური რეალიზმი. ეს იყო ეპოქა, რომლის სულისკვეთება ასე განსაზღვრა ცნობილმა გერმანელმა ფილოსოფოსმა ემანუელ კანტმა – „შეეცადე, რომ გაიგო.“

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე საზოგადოებრივი ყოფის გარდაქმნისა და თავისუფლება-თანასწორობაზე დამკვიდრებული სოციალური წყობის დამკვიდრების შესაძლებლობაზე საყოველთაო იმედგაცრუებამ ევროპაში წარმოშვა ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა რომანტიზმის ასხელწოდებით, რომლის ყურადღების ცენტრში მოექცა არაორდინალური პიროვნების შინაგანი სამყარო, გმირის ხასიათის ინდივიდუალური თვისებები, გმირისა, რომელიც განყენებულად დგას საზოგადოებრივი ყოფისაგან. თუმცა არც ამ მიმდინარეობისთვისაა სრულიდ უცხო და მიუღებელი რეალიზმის ელემენტები თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მისი ამაყი გმირი თავისი მარტოობითა თუ სამყაროს მიუღებლობით თავად რეალობაა. რომანტიკოსი მწერალი თვითონ ქმნის სასურველ მხატვრულ რეალობას, რომელიც მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სინამდვილე. რომანტიკული გმირი ამოვარდნილია ჩვეულებრივი ყოველდღიურობიდან და განსაკუთრებულ ვითარებაშია ჩაყენებული, თუმცა სწორედ ამაშია მისი საზოგადოებრივი სარგებლიანობის წყარო.

XIX საუკუნეში მომხდარმა რევოლუციურმა მიღწევებმა მეცნიერებასა და ტექნიკაში წარმოშვა მეურნეობრიობის მსოფლიო სისტემა და ყველა სოციალური ფენა წარმოებაში ჩააბა, რამაც გამოიწვია მათ შორის არსებული მკვეთრი განსხვავების აღმოფხვრა. ყოველივე ამან წარმოშვა კრიტიკული რეალიზმი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მძაფრი კრიტიკული პათოსი ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით; რეალობის განზოგადება და ტიპური ხასიათების ტიპურ გარემოში ასახვა ჰუმანისტური იდეალების დაცვასთან ერთად. თუ რომანტიზმი იყო

ცხოვრების ახალი წყობის თავდაპირველი მოუწესრიგებლობის ერთგვარი წინათგრძნობა, XIX საუკუნის კრიტიკულმა რეალიზმმა შეიცნო და თავის თავზე იწვინა მისი არაადამიანური ხასიათი, რამაც იგი აქცია „დაკარგული ილუზიების“ ფხიზელ ხელოვნებად. ამ მიმდინარეობისათვის ესთეტიკური იდეალი უარყოფის გზით მკვიდრდება და იგი საზოგადოებისათვის მოწყობილი ერთგვარი სასამართლოა, რომელმაც ლიტერატურის მთავარ ამოცანად სინამდვილის აღწერა და მისთვის განაჩენის გამოტანა აქცია. აღსანიშნავია ისიც, რომ კრიტიკული რეალიზმი XIX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე აგრძელებს არსებობას, მიუხედავად მის გვერდით მთელი ამ ხნის მანძილზე არსებული არა ერთი მოდერნისტული თუ ავანგარდული ლიტერატურული მიმდინარეობისა.

თუ ლიტერატურის მთავარი მიზანი სინამდვილის მხატვრული ასახვაა, და ეს ასეცაა, მაშინ ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, არსებობდა ყველა დროსა და ხალხის მწერლობაში. მან თავისი არსებობის მანძილზე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური წყობის, მეცნიერულ-ტექნიკური დონისა თუ მსოფლმხედველობის ცვალებადობის შესატყვისად გაიარა განვითარების სხვადასხვა საფეხური, რომლებიც პასუხობდნენ იმდროინდელ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს და გარკვეულწილად განაპირობებდნენ კიდევაც მის პროგრესს. ასე რომ კრიტიკულ რეალიზმამდე და მის შემდგომაც არსებულ ყველა ლიტერატურულ მიმდინარეობას განსხვავებულ ნიშნებთან ერთად ახასიათებთ ის ძირითადი პრინციპი, რასაც რეალური სინამდვილის მხატვრული ასახვა ჰქვია.

**რეალიზმის წარმოშობისათვის ქართულ მწერლობაში:** ქართული ლიტერატურა ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესია კულტურულ ერთა სიტყვაკაზმულ მწერლობებს შორის. ტიპოლოგიურად იგი ყოველთვის დასავლური იყო, მიუხედავად იმისა, რომ იმავდროულად ითვისებდა და თავისებურად გადაამუშავებდა აღმოსავლეთის, ძირითადად სპარსული და არაბული კულტურის მიღწევებს. იგი სხვადასხვა ეპოქაში გარკვეული თავისებურებით ხასიათდება არსებული სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურული ვითარებიდან გამომდინარე, რაც სავსებით ბუნებრივია, მაგრამ ქართულ მწერლობას, კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბებამდე, მთელი თავისი განვითარების მანძილზე ჰუმანიზმთან ერთად წითელი ზოლივით გასდევს „ჭეშმარიტად აღწერისა“ თუ „მართლის თქმის“ რეალისტური პრინციპი.

ძველი ქართული ლიტერატურის (V-XVIII სს.) პირველი ქვეპერიოდი (V-XI სს.), როგორც ცნობილია, სასულიერო მწერლობის ბატონობით ხასიათდება. ამ ხანის ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები სავსებით რეალისტურია იმ გაგებით, რომ გადმოგვცემენ კონკრეტულ-ისტორიულ სინამდვილეს და პერსონაჟებადაც იშვიათი გამონაკლისის გარდა, კონკრეტული ისტორიული პირებია გამოყვანილი. ქართული ლიტერატურა მკაცრი რეალობიდან გამომდინარე ჯერ მაზდეანობის, ხოლო შემდეგ მაჰმადიანობის მოძალეობის უამს მძაფრი მხატვრული ფორმებით ასახავდა რა კონკრეტულ სინამდვილეს, მკითხველს აცნობდა იმ თანამემამულეთა თუ არათანამემამულეთა საგმირო საქმეებს, რომლებიც მსხვერპლად ეწირებოდნენ სარწმუნოებას, ან თავს არ ზოგავდნენ ქრისტიანობის გავრცელება-განმტკიცებისათვის. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ჰაგიოგრაფი მწერალი გარკვეული მსოფლმხედველობიდან დანახულ ობიექტურ სინამდვილეს ასახავდა.

მართალია, ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში არ ყოფილა შემუშავებული კონკრეტული ლიტერატურული შეხედულებები, მაგრამ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ავტორთა მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება და თვით ნაწარმოებთა ანალიზი გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ V-XI საუკუნეებში ჩვენი მწერლობისათვის დამახასიათებელია რეალურად არსებული ისტორიული პიროვნების – წმინდანის წამებისა თუ ცხოვრების რეალურ ისტორიულ გარემოში ასახვა; მხატვრული გამონაგონის არსებობა ფანტასტიკური, მაგრამ სარწმუნო ელემენტების სახით; პერსონაჟთა პორტრეტისა თუ ბუნების სურათების რეალისტური ხატვა; გარკვეული დანიშნულებით სამიჯნურო ეპიზოდების ჩართვა („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“); ჰაგიოგრაფიის საყოფაცხოვრებო პროზასთან დაახლოების ტენდენცია (გრიგოლ ხანძთელისა და სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრება“). ეს კი სრულიად აკმაყოფილებს რეალიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის, იმ ძირითად მოთხოვნას, რასაც სინამდვილის მხატვრული ასახვა ჰქვია.

კლასიკური ხანის (XII-XIII სს.) ქართულ საერო მწერლობაში, რომელიც ცნობდა ამქვეყნიურ, მატერიალურ სინამდვილეს, აღიარებდა საამქვეყნო ყოფიერების ღირებულებას და ასახავდა ცხოვრებისეულ სინამდვილეს, რეალიზმის ელემენტები სულ უფრო თვალში საცემია. ამ დროის სახოტბო პოეზიის უმშვენიერეს ნიმუშებში, როგორიცაა შავთელის „აბდულმესია“ და ჩახრუხადის „თამარიანი“, გარკვეულწილად განზოგადებულია შესაქებ პირთა (თამარის, დავით სოსლანის, ლაშა-გიორგის) ინდივიდუალური ღირსებისა და ღვაწლის დიდი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა. ავტორები თავად არიან აღწერილი ამბების მომსწრენი და შეიძლება მონაწილენიც, რაც მეტ დამაჯერებლობას მატებს მათ პოეტურ ქმნილებებს.

რაც შეეხება მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანსა“ და შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“, ორივე ეფუძნება გამონაგონის მხატვრულ სიმართლეს. პირველი მათგანის სპეციფიკას მითოსურ-ფანტასტიკური და რეალური საწყისის გაუთიშავად წარმოდგენა ქმნის, ხოლო თვით რეალობა იმგვარადაა წარმოსახული, რომ თავისთავადი მნიშვნელობის გვერდით მას ალეგორიული განზოგადების ფუნქციაც ეკისრება, რაც სრულყოფილ ფორმას „ვეფხისტყაოსანში“ ღებულობს. რუსთველმა შექმნა ცოცხალ პერსონაჟთა ინდივიდუალიზებული სახეები, რომლებიც გარკვეულწილად ზოგადობის, ტიპურობის ნიშნებსაც ატარებენ. ამავე დროს აშკარად შეიმჩნევა მისი კრიტიკული დამოკიდებულება ვაჭართა ფენის მიმართ, განსაკუთრებით ზნეობის თვალსაზრისით. „ვეფხისტყაოსნის“ რეალისტურ ხასიათს ადასტურებს ისიც, რომ მასში ასახულ ამბებს არა ერთი ანალოგი ეძებნება მაშინდელ ქართულ სინამდვილესთან.

რეალისტური ტენდენციები ძველ ქართულ მწერლობაში ყველაზე ხელშესახებად მაინც აღორძინების ხანის ლიტერატურისთვისაა დამახასიათებელი. ამ ეპოქაში ხდება ძველი ლიტერატურული ტრადიციების კრიტიკული გადაფასება, ახალი მოთხოვნებისა და გემოვნების შესაბამისად ყალიბდება ახალი შეხედულებები, ისახება მწერლობის განვითარების ახალი პერსპექტივები, რაც, ბუნებრივია, გამოწვეული იყო ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური თუ პოლიტიკურ-კულტურული მოვლენებით. ეს უწინარესად ითქმის არჩილისა და მისი სკოლის მიმდევართა შესახებ, რომელთაც ჩვენში დაამკვიდრეს ე. წ. „მართლის თქმის“ პრინციპი, რომლის მიხედვითაც მწერალმა კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილე სიმართლით უნდა ასახოს, ასახოს ისე, როგორც არის თავისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეებით. თან ნაკლოვანებების ასახვა გაკიცხვასთან ერთად ხდება მისი გამოსწორების მიზნით. „მართლის თქმის“ კონცეფციის ორგანულ ნაწილს შეადგენს ეროვნული თემატიკის საკითხი სალიტერატურო ენის გახალხურებასა და მისი სიწმინდის დაცვასთან ერთად.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სწორედ აღორძინების ხანის მწერლობამ შეძლო გადაელახა შოთა რუსთველის კოლოსალური, ხშირ შემთხვევაში ყოვლისმომცველი და წამლექავი, თვით მონურ მიბაძვამდე მისული ზეგავლენის დაძლევა. იდეებისა და შინაარსის სფეროში ეს გააკეთა არჩილმა, ხოლო ფორმის თვალსაზრისით ამგვარი გარდაქმნა მოახდინეს სულხან-საბა ორბელიანმა და დავით გურამიშვილმა.

XIX საუკუნის დასაწყისში ქართულ ლიტერატურაში ევროპულის მსგავსად ჩამოყალიბდა რომანტიზმი, რომელიც ვითარდებოდა ძველი დროის ლიტერატურულ-

შემოქმედებითი ტრადიციების გამოყენებითა და ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების საფუძველზე. ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედება მკაფიოდ გამოხატული რომანტიკული ტენდენციების გვერდით კონკრეტულ შინაარს შეიცავს და გარემომცველი სინამდვილითაა ნაკარნახევი. მათ ნაწარმოებებში წარსულის იდეალიზაციასთან ერთად მოისმის თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის კრიტიკა. ამავე დროს ისინი მოკლებულია ევროპული რომანტიზმისათვის დამახასიათებელ მისტიციზმს, ამქვეყნიური ცხოვრების სრული უაზრობის აღიარებას. ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და სხვათა ლირიკა ორგანულად ითავსებდა სახეების რეალისტურ სისტემას და მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიით ნაკარნახევ ჯანმრთელ სენსუალიზმს, რაც საერთოდ უჩვეულო მოვლენაა მაშინდელი ევროპული ლიტერატურისათვის. ქართველმა რომანტიკოსებმა ფართოდ გაუღეს კარი ეროვნულ თემატიკას და წარსულის იდეალიზაციასთან ერთად მომავლის მკრთალი კონტურებიც მოგვცეს.

მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან ჩვენს ქვეყანაში დაწყებულმა მნიშვნელოვანმა სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა გამოიწვია თავად-აზნაურთა და გლეხობის დიფერენციაცია, ახალი სოციალური ფენის – ბურჟუაზიის წარმოშობა, რომელიც მოგვიანებით საკმაოდ სერიოზულ ეროვნულ ძალად ჩამოყალიბდა. ეს ცვლილებები დროულად შეამჩნია და შექცებისდაგეგარად ასახა კიდევაც იმ დროინდელმა ქართულმა მწერლობამ. სწორედ ამ პერიოდში რომანტიზმთან ჭიდილში იწყებს ჩვენში დამკვიდრებას კრიტიკული რეალიზმი. გიორგი ერისთავის, დანიელ ჭონქაძის, ლავრენტი არდაზიანისა და რაფიელ ერისთავის შემოქმედებაში რეალისტურადაა ასახული თანადროული საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი სოციალური ბუნება. მათ თხზულებებში ჩვენ ვეცნობით პერსონაჟთა მდიდარ გალერეას, რომლებიც ერთმანეთისაგან განირჩევიან თავიანთი სოციალურ-კლასობრივი მდგომარეობით და გვევლინებიან როგორც ქართველი თავადი თუ გლეხი, რუსი მოხელე, სომეხი ვაჭარი და ა. შ.. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც, ამ პერიოდის მწერლებმა ჩვენს ლიტერატურაში ბოლო მოუღეს პოეზიის აბსოლუტურ ბატონობას და დაამკვიდრეს პროზა, რომელიც ყველაზე ხელსაყრელი ფორმაა კრიტიკული რეალიზმისათვის.

ახალი თემატიკა, ახალი ქანრები, ახალი მხატვრული საშუალებანი და სასაუბრო ენასთან დაახლოებული სამწერლობო ენა; მხოლოდ და მხოლოდ თანადროული საზოგადოებრივი ცხოვრების, მისი სოციალური ბუნების ასახვა; სინამდვილიდან აღებული თავიანთი სოციალური მდგომარეობით განსხვავებული

ტიპური ხასიათების ჩვენება, არსებული საზოგადოებრივი ვითარების მძაფრი კრიტიკა, ლიტერატურაში ხალხის შემოყვანა – მოკლედ აი, ყველაფერი ის, რაც შესძინა XIX საუკუნის შუა ხანების კრიტიკულმა რეალიზმმა ჩვენს მწერლობას ახალ იდეურ აზრთან ერთად. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის რეალისტური ლიტერატურა ვალდობდილი შეხვდა თავისი განვითარების შემდგომ პერიოდს, რომელიც 60-იანი წლებიდან იწყება და რომელსაც ქართველი „თერგდალეულების“ სახელები ამშვენებენ.

**კრიტიკული რეალიზმის საკითხები ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ესთეტიკაში:** XIX საუკუნის 60-იან წლებში სამოდვაწეო ასპარეზზე გამოსულმა ქართველმა მწერლებმა ჩვენს ლიტერატურაში საბოლოოდ დაამკვიდრეს კრიტიკული რეალიზმი. ეს განპირობებული იყო როგორც ქვეყნის შიგნით მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურულ-ეკონომიკური მოვლენებით, ისე საგარეო, ძირითადად, რუსული ფაქტორით. “თერგდალეულთა” რეალისტური შეხედულებები ეფუძნება ქართული მწერლობის ტრადიციებსა თუ განვითარების დონეს, ასევე რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრებას.

ვინაიდან „პირველი დასის“ წარმომადგენელთა ესთეტიკურ შეხედულებებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ არსებობს, ამიტომ საკმარისად მივიჩნიეთ მხოლოდ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ამგვარი ნააზრვეის განხილვა, რაც, ჩვენი აზრით, სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის არა მხოლოდ მათი მხატვრულ-პუბლიცისტური შემოქმედების გასაგებად, არამედ ქართული კრიტიკული რეალიზმის თავისებურებათა გასათვალისწინებლად. მით უმეტეს, რომ ამ საკითხზე გარკვეული განსხვავება არსებობს პირველ და მეორე „დასელთა“ შეხედულებებს შორის. მიგვაჩნია, რომ ეს დაგვეხმარება გიორგი წერეთლის „შეუფერავი რეალიზმის“ არსის გაგებაში, „შეუფერავი რეალიზმისა,“ რომელსაც ხან ნატურალიზმთან აიგივებენ, ხან რაღაც შუალედურ რგოლად მიიჩნევენ კრიტიკულ რეალიზმსა და ნატურალიზმს შორის, ხან კიდევ წარმოადგენენ, როგორც კრიტიკული რეალიზმის განვითარების ერთ-ერთ საფეხურს მწერლის თანადროული ვითარებიდან გამომდინარე.

ილია ჭავჭავაძის აზრით, ხელოვნების ყოველი დარგი სახეებით აზროვნებს და მათ შორის განსხვავებას მხოლოდ ამ სახეების შექმნისათვის საჭირო მასალის სხვადასხვაობა იწვევს. მას საზოგადოებრივი ყოფიერება ბაზისად მიაჩნია, ხოლო ხელოვნება აქტიურ ზედნაშენად მეცნიერებასთან ერთად. „მეცნიერება და ხელოვნება იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის... იგინი წინ მიდიან

ცხოვრების ვითარების გამო და მერე თავის რიგზედ წინ მიჰყავთ ცხოვრება.“ – წერდა ილია ჭავჭავაძე წერილში „საქართველოს მოამბეზედ.“ მისი აზრით, რაც არ არის სინამდვილეში, ან რისი არსებობაც საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ არ არის მომზადებული, არ შეიძლება იყოს ლიტერატურაშიც.

თავის კრიტიკულ-პუბლიცისტურ თუ მხატვრულ ნაწერებში ილია ჭავჭავაძეს არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ „ლაქისა“ და „ლაფის“ საჯაროდ გამოტანა, ნაკლოვან მხარეთა მხილება ცხოვრების გაუმჯობესების ერთ-ერთი პირობაა, ე. ი. სასარგებლოა ქვეყნისა და ხალხისათვის. ამისთვის კი აუცილებელია, რომ ლიტერატურამ ასახოს საზოგადოებაში მომხდარი არა ყოველი შემთხვევა, არამედ მხოლოდ არსებითი და ზოგადი. ეს კი უკავშირდება ტიპური სახის მეშვეობით სინამდვილის მხატვრულ გაზოგადებას, ანუ კერძო და ზოგადი ნიშნების მატარებელი ტიპის ტიპურ გარემოში ასახვას. ამავე დროს ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა და სრულიდ სამართლიანადაც, რომ დიდი ხელოვანის მიერ შექმნილი ტიპები ერთდროულად ზოგადსაკაცობრიონიც არიან (შინაგანი ბუნებით, ე. ი. შინაარსით) და ეროვნულიც (სამკაულით, საფერავით, ე. ი. ფორმით). პირველი მეორის ძირიდან მოდის, ეროვნულ ნიადაგზე იბადება და აქედან გამომდინარე მალდდება საკაცობრიო დონემდე.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც – თავის ესთეტიკურ შეხედულებებში ილია ჭავჭავაძე ძირითადად რუსი რევოლუციონერ-დემოკრატის ბესარიონ ბელინსკის მოსაზრებებს იზიარებს, მაგრამ უკრიტიკოდ კი არ იმეორებს თავისი მასწავლებლის დებულებებს, არამედ ისე, როგორც ყველგან, აქაც ინარჩუნებს ორიგინალობას. ამის საილუსტრაციოდ ერთი მაგალითის მოყვანაც კმარა. ბელინსკის მტკიცებით, სინამდვილე მშვენიერია თავისთავად, მაგრამ მშვენიერია თავისი არსებით, თავისი ელემენტებით და არა ფორმით. ჩვენი მწერლის აზრით კი, ის რაც სინამდვილეში მშვენიერია, მშვენიერია არა მარტო შინაარსით, არამედ ფორმითაც. უფრო მისაღები და ანგარიშგასაწევი ილიას თვალსაზრისია, ვიდრე ბელინსკისა.

ზოგადის, ტიპურის შექმნის საფუძვლად ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა მხატვრულ გამონაგონს, ვინაიდან ცხოვრებისეული სინამდვილე ხელოვნების ნაწარმოებში „მოგონილი ამბითაა ცხადყოფილი.“ მისი აზრით, მშვენიერება ხელოვნებაში მხოლოდ ფორმა როდია, არამედ შინაარსის მხრივაც მაღალ დონეს გულისხმობს. ამიტომ იგი ყოველთვის მკაცრად გმობდა შინაარსისაგან დაცლილ, მხოლოდ წმინდა ფორმის შემოქმედებას; ამავე დროს მოურიდებელი პირდაპირობით ილაშქრებდა სუსტი მხატვრული ფორმის წინააღმდეგაც. აქედან გამომდინარე იგი ფორმასა და შინაარსს მხატვრული ნაწარმოებისათვის თანაბარ ატრიბუტებად

მიიჩნევა და არც კი სვამდა რომელიმე მათგანის უპირატესობის საკითხს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ დრმაშინაარსიანი და მაღალმხატვრული ფორმის ქმნილებას შეუძლია იქცეს საზოგადოების წინსვლა-განვითარების ფაქტორად. ამისთვის სხვა ყველაფერთან ერთად, ილიას აზრით, აუცილებელია, რომ სალიტერატურო ენა ეფუძნებოდეს ხალხის ცოცხალ მეტყველებას. ამიტომ მან კატეგორიულად დასვა ენის დემოკრატიზაციის საკითხი და სხვა „თერგდალეულებთან“ ერთად ამას კიდევაც მიაღწია.

ილია ჭაჭავაძესთან ერთად კრიტიკული რეალიზმის დიდ თეორეტიკოსად გვევლინება მეორე გამოჩენილი სამოციანელი აკაკი წერეთელი. მისი მსოფლმხედველობა და ესთეტიკური კონცეფციაც იმ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ და სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში ჩამოყალიბდა, რომელშიც ილიას შეხედულებები. ეს იყო 60-იანი წლების ხანა, როდესაც „ყირიმის ომმა თვალი გამოახელინა რუსეთს, პეტრე დიდისაგან გამოჭრილი სარკე მაშინ აიხადა და როგორც იქნა ძალაუნებურად შემოაშუქა განათლებამ ბნელეთში... იმ დროს, ესე იგი მესამოცე წლებში, იტალია და უნგრეთი სცდილობენ განთავისუფლებას და ებრძოდნენ ავსტრიას. გარიბალდი, მაძინი, კოშუტი გაუხდათ ყველა შეგნებულ მამულიშილებს იდეალად. სწორედ ამ დროს გამოვიდა სარატოველი სემინარიელი ჩერნიშევსკი, ჩაუდგა სათავეში ჟურნალ „სოვრემენიკს“ და დობროლიუბოვთან, ანტონოვიჩთან, ნეკრასოვთან და სხვებთან ერთად დასცა რუსეთს კიუინა, ამოდრავდა რუსეთი.“ (აკაკი წერეთელი, „უბრალო საუბარი“, რჩეული თხზულებანი, ტ. V, გვ. 172, თბ. 1990 წ.). აქ ნათლადაა მითითებული ის იდეური წყაროები, რომელთა უშუალო ზეგავლენითაც ჩამოყალიბდა „თერგდალეულთა“ და მათ შორის აკაკის შეხედულებები. ერთი მხრივ, ჩაგრულ, დაპყრობილ ხალხთა ეროვნული მოძრაობა, რაც სამოციანელებს „მამულის დახსნისთვის“ აღანთებდა და მეორე მხრივ, რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა სოციალური იდეალები, რაც კლასობრივი ბრძოლის გაკვეთილები იყო მათთვის. სწორედ ამიტომ მოღვაწეობის ნახევარი საუკუნის მანძილზე აკაკი წერეთელი შეურიგებლად იბრძოდა იდეალისტური ლოზუნგის – „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ წინააღმდეგ და გაბედულად იცავდა მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპებს. ის გარემოება, რომ პოეტი არც იდეალისტების ბანაკს ეკუთვნოდა და არც ნიჰილისტებისა, მას საშუალებას აძლევდა ყოფილიყო „გარემოების საყვირი“ და ჩვეული პირდაპირობით ემხილებინა როგორც ერთი, ისე მეორე უკიდურესობის მიმდევრები.

აკაკი წერეთლის აზრით, ხელოვნება სინამდვილის ასახვაა და არა აბსოლუტური იდეის გამოხატვა. აღნიშნულის თვალსაჩინოებისათვის იგი ხშირად



მიმართავდა მარტივ ანალოგიას, ადარებდა რა პოეტის გულს სარკეს, მწერალს – მესარკეს, ხოლო მწერლობას – მესარკეობას. „მწერლობა ზნეობითი მესარკეობაა. ნაწერში, როგორც სარკეში, ნათლად უნდა ისახებოდეს მწერლის თანადროება მისის სისწორ-სიმრუდით, რომ საისტორიოდ გადაეცეს მომავალ დროებს.“– წერდა აკაკი წერეთელი ერთ-ერთ სტატიაში. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პოეტის კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებსა და მხატვრულ ნაწერებში, მკვლევარ ვახტანგ ვახანიას მართებული შენიშვნით, მწერლობა-მესარკეობას რაღაც კანონიზირებული და სისტემური ხასიათი აქვს. ლიტერატურა ამავე დროს უცნაური სარკეა, რომელშიც ცხოვრებისეული სინამდვილე გვეძლევა მწერლის გონების პრიზმაში გარდატეხით. ამის შესახებ გარკვევითაა ნათქვამი აკაკი წერეთლის საპროგრამო ლექსში „პოეტი“:

იღია ჭავჭავაძის მსგავსად აკაკი წერეთელიც მიიჩნევდა, რომ მწერალმა ცხოვრებისეული სინამდვილე საფუძვლიანად უნდა გადაამუშაოს და შექმნას ახალი სინამდვილე, მხატვრული რეალობა, რომელიც ერთდროულად იქნება კონკრეტული და ზოგადი ნიშნების მატარებელი. ამისთვის კი აუცილებელია იდეურ-შინაარსობრივი მხარისა და ფორმის ერთიანობა, რითაც მიიღწევა მშვენიერება ხელოვნებაში, როგორც ესთეტიკური კატეგორია. ამავე დროს საჭიროა წერა საერთო-სახალხო ენით. აკაკი წერეთელს მიაჩნდა, რომ მწერალი დღენიადაგ ხალხში უნდა ტრიალებდეს და მიმდინარე საჭირობოროტო საკითხებზე წერდეს ისე, რომ თვით წვრილმანიც კი არ დარჩეს რეაგირების გარეშე. ამიტომაც იყო, რომ ბუღბუღლად წოდებული პოეტი „გაძაღლებული ცხოვრებიდან“ გამომდინარე იძულებული იყო ხშირად თავისი ნების საწინააღმდეგოდ ხან ყორანივით „ეჩხავლა“, ხან ძაღლივით „ეყეფა“ ქვეყნისა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე. ამ მხრივ იგი სხვა სამოციანელების მსგავსია, მაგრამ მას აქვს ის ორიგინალური რამ, რასაც თვითონ „აკაკურს“ უწოდებდა.

**გიორგი წერეთელი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში:** გიორგი წერეთლის მხატვრული შემოქმედება, ფილოსოფიურ-ესთეტიკური შეხედულებები თავის დროზე არა ერთი ქართველი ლიტერატურის მკვლევარის შესწავლა-დაფასების საგანი გამხდარა და თითოეულ მათგანს მეტ-ნაკლები წარმატებითაც გაურთმევია თავი. ჯერ კიდევ XIX საუკუნეშივე ნიკო ნიკოლაძემ და აკაკი წერეთელმა შეამჩნიეს ამ მწერლის ნაწერების ორმაგი ბუნება (რეალური სინამდვილის აღმწერი მხატვრული თხზულებისა და პუბლიცისტის ერთგვარი ნაზავი) და აღნიშნეს კიდევ – პირველმა თავის სტატიაში „ბატონ წერეთლის პირველი შრომა“, რომელიც ჟურნალ

„მოამბის“ მესამე ნომერში გამოქვეყნდა 1894 წელს, ხოლო მეორემ (ა. წერეთელმა) „ჩემს თავგადასავალში.“ რაც შეეხება ილია ჭავჭავაძეს, იგი არც თუ ისე მაღალი წარმოდგენისა იყო გიორგი წერეთლის შემოქმედებაზე. ამის ნათელი დასტურია მისი ცნობილი წერილი „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი,“ რომელშიც მდარე მხატვრულობის ნიმუშად სწორედ გიორგი წერეთლის შემოქმედება დაასახელა. მოგვიანებით მკვლევარმა კიტა აბაშიძემ ცნობილი სამოციანელის მიერ თავის შემოქმედებით მეთოდად აღიარებული „შეუფერავი რეალიზმი“ არამართებულად გააიგივა ნატურალიზმთან, რომელსაც ქართული მწერლობა საერთოდ არ იცნობს. ყოველივე ამან გარკვეული გავლენა იქონია შემდგომი დროის ლიტერატურის მკვლევართა შეხედულებებზე.

1956 წელს გამოვიდა გიორგი ჯიბლაძის ნაშრომი „გიორგი წერეთლის შემოქმედება,“ რომელშიც „შეუფერავი რეალიზმი“ განხილულია როგორც რაღაც შუალედური რგოლი კრიტიკულ რეალიზმსა და ნატურალიზმს შორის, მაგრამ, როგორც ცნობილია, ასეთი მიმდინარეობა ლიტერატურაში საერთოდ არ არსებობს. მსგავსი შეხედულებისა იყვნენ გიორგი წერეთლის შემოქმედებაზე მკვლევარები მიხეილ გაფრინდაშვილი („გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობა,“ თბ. 1955 წ.) და ვახტანგ ვახანია („რეალიზმის საკითხები ქართველ სამოციანელთა ესთეტიკაში,“ თბ. 1968 წ.).

მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევს და, ჩვენი აზრით, სრულიად სამართლინადაც, რომ გიორგი წერეთლის „შეუფერავი რეალიზმი“ ისეთივე კრიტიკული რეალიზმია, როგორიც პირველდასელებმა საბოლოოდ დაამკვიდრეს ჩვენს მწერლობაში, ოღონდ პირველის თანადროული ეპოქის მოთხოვნილებების შესაბამისად. ამ თვალსაზრისს იზიარებდნენ: მ. ზანდუკელი (ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. II, თბ. 1963 წ.); ა. მახარაძე (ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ. 1963 წ.); დ. გამეზარდაშვილი (ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, ტ. I-II, თბ. 1953-1957 წლები); ო. ჭურღულია (კრიტიკული წერილები, სოხუმი, 1961 წ.); გ. ნატროშვილი (წინაპარნი და თანამედროვენი, თბ. 1961 წ.); ნ. ჭოლოკავა (გიორგი წერეთლის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები, იხ. „მაცნე“ N 3, თბ. 1964 წ.); ა. ჭილაია (გიორგი წერეთელი, თბ. 1964 წ.); შ. ვაშაყმაძე (გიორგი წერეთელი და ჟურნალი „კვალი,“ თბ. 1966 წ.); ს. ავალიანი (გიორგი წერეთლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, თბ. 1954 წ.) და სხვა.

ჩვენც მიგვაჩნია, რომ გიორგი წერეთლის „შეუფერავი რეალიზმი“ კრიტიკული რეალიზმის განვითარების გარკვეული საფეხურია მწერლის

თანამედროვე ქართული საზოგადოების მოთხოვნებიდან შესატყვისობაში მოყვანილი.

**„შეუფერავი რეალიზმის“ წარმოშობა და მისი არსი:** XIX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივი მოვლენებისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების გამო „თერგდალეულებს“ შორის თავი იჩინა უთანხმოებამ, რაც საბოლოოდ განხეთქილებით დამთავრდა. ნიკო ნიკოლაძემ, გიორგი წერეთელმა, სერგეი მესხმა ჩამოაყალიბეს ე. წ. „მეორე დასი.“ მათ ლიტერატურაში წამოაყენეს „შეუფერავი რეალიზმის“ იდეა და შეეცადნენ კიდევაც მისი მართებულობის დამტკიცებას როგორც თეორიულად, ისე მხატვრული შემოქმედებითაც. მისი არსის გაგებისათვის მნიშვნელოვანია ნიკო ნიკოლაძის, როგორც ქართულ ლიტერატურაში ამ პრინციპის პირველწამომყენებლის, ესთეტიკურ შეხედულებათა გაცნობა. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ეს უკანასკმელი ამ შემთხვევაში ეყრდნობოდა ცნობილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატის ნიკოლაი ჩერნიშევსკის სამაგისტრო დისერტაციას და ვრცელ სტატიას „не начало ли перемени.“ თვით ტერმინი „შეუფერავი რეალიზმი“ მისგანვე აქვს ნასესხები.

„შეუფერავი რეალიზმის“ იდეა ნიკო ნიკოლაძემ წამოაყენა 1873 წელს ჟურნალ „კრებულის“ V-VI ნომრებში გამოქვეყნებულ წერილში „გლახის ნაამბობი,“ მოთხრობა ი. ჭავჭავაძისა,“ რომელიც ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ განხილვას მიუძღვნა და ამავე დროს XIX საუკუნის 50-იანი წლების რუსი რეალისტი მწერლების თხზულებების მიმოხილვის საფუძველზე ვრცლად შეეხო ზოგადი მნიშვნელობის მქონე აქტუალურ ლიტერატურულ საკითხებსაც. ამ სტატიაში მან გაილაშქრა სინამდვილის შელამაზებულად, შეფერილად წარმოდგენის წინააღმდეგ, რადგან მწერლის დანიშნულება „იმაში მდგომარეობს, რომ დაუხატოს მკითხველს ხალხის, საზოგადოების და კერძო პირის ნამდვილი მდგომარეობა, ხასიათი, საჭიროება; დაუხატოს ისე, რომ მკითხველი ამ მდგომარეობის, საჭიროების და ხასიათის ნამდვილ გარემოებებს და თვისებებს ხედავდეს, კარგსა და ავ მხარეს სცნობდეს და თან მიზეზების გაგებაც ჰქონდეს, რომელთაც ესეები დაუბადნია.“ (ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 241, თბ. 1951 წ.). ე. ი. მხატვრულ ნაწარმოებში მტკიცე კავშირში უნდა იყოს აწმყო ვითარების სწორი ჩვენება და უკეთესი მომავლის იდეალი, თან ისე, რომ ერთი (მერმისი) მეორისგან (აწმყოსგან) გამომდინარეობდეს.

ამ მხრივ ნიკო ნიკოლაძე იწუნებს ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობს“ და „კაკო ყაჩაღს,“ სამაგიეროდ მისივე „კაცია-ადამიანი?!“ და „მგზავრის წერილები,“ ჩვენი კრიტიკოსის აზრით, მთლიანად აკმაყოფილებენ ზემოთ წამოყენებულ მოთხოვნებს. მისი თქმით „ვერც ცალკე ადგილების მშვენიერი სურათები, ენა, შედარებები, იგავები, ანდაზები და მარჯვეთ, მოკლეთ გამოთქმული დაკვირვებები ვერ მაღავენ იმ საზოგადო ნაკლუვანებას ამ თხზულებისა („გლახის ნაამბობი“), რომ მისი დედა-საგანი იშვიათი განვითარებული შემთხვევა და ხასიათია. მკითხველს ნიადაგ ის აზრი აქვს თავში, რომ ეს ამბავი „შეკეთებული, შეფერილი, განგებ გასუფთავებული და გალამაზებულიაო, ის ნამდვილ ცხოვრებას არ ეთანხმებაო.“ (ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 412, თბ. 1951 წ.). ნიკო ნიკოლაძის ამ სიტყვებს პრინციპული მნიშვნელობა აქვს „შეფერილი“ და „შეუფერავი“ რეალიზმის ცნებების გასარკვევად. ამავე დროს როგორადაც არ უნდა აღვიქვამდეთ ამგვარ შეხედულებას „გლახის ნაამბობზე,“ მაინც აშკარაა მისი ავტორის მახვილი მხერა და სიტყვის ძალა.

ნიკო ნიკოლაძის აზრით, ტიპის შესაქმნელად მწერალი ღრმად უნდა გაეცნოს ცხოვრებას და მოახდინოს მისი მართებული განზოგადება. ამიტომ იგი მკაცრად კიცხავს იმ მწერლებს, რომლებიც ისე „დაუფასებლათ ხატავენ ცხოვრებას, როგორც ფოტოგრაფი ბუნებას ან კაცის პირსახეს იღებს.“ მხატვრული სახე მით უფრო მნიშვნელოვანი და ღირებულია, რაც უფრო მეტი რეალური პირი თუ მოვლენა ემსგავსება მას. მხოლოდ ამ შემთხვევაში „ცხოვრება, რომელიც გამოსახულია თხზულებაში მკითხველს ნაცნობ და თან უცნობ საგნად ეჩვენება.“ ამ მხრივ ჩვენი კრიტიკოსის შეხედულებები არაფრით არ განსხვავდება „პირველი დასის“ წარმომადგენელთა ამგვარი ნააზრებისაგან.

ნიკო ნიკოლაძე 1890 წელს გაზეთ „НОВОЕ ОНОВРЕНИЕ“-ში გამოქვეყნებულ წერილში ეხება მწერლის მოვალეობა-დანიშნულებას და მის ადგილსა თუ როლს საზოგადოებაში. მსჯელობს რა ამ საკითხებზე ალექსანდრე პუშკინის „წინასწარმეტყველისა“ და მიხეილ ლერმონტოვის „პოეტზე“ დაყრდნობით, აკეთებს სრულიად მართებულ დასკვნას, რომ მწერალი არც მოსამართლეა და არც ადვოკატი, არამედ ცხოვრებისეული სინამდვილის კრიტიკულად ამსახველი და საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მანკიერების მამხილებელთან ერთად მისი აღმზრდელი და უკეთესი მერმისის მაჩვენებელი. ხელოვნება, მათ შორის ლიტერატურა, ზედნაშენური კატეგორიაა და დამოკიდებულია ცხოვრება-ბაზისზე. აქედან გამომდინარე მწერალი თავისუფალი როდია, მისი შემოქმედება თვითონ იმ საზოგადოების მდგომარეობაზეა დამოკიდებული, რომელშიც ის ცხოვრობს. ამავე

დროს თუ ხელოვნების ნაწარმოები ერთდროულად ღრმა შინაარსისა და მაღალმხატვრული ფორმისაა, მას ძალუძს თავის მხრივ გარკვეული ზეგავლენა იქონიოს საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლა-განვითარებაზე.

ამრიგად, ნიკო ნიკოლაძე, ერთ-ერთი გამოჩენილი სამოციანელი, გვევლინება როგორც რეალისტური ხელოვნების დამცველი და იმ მატერიალისტური ესთეტიკური პრინციპების მიმდევარ-განმვრცობი, რომელიც ჩვენში დაამკვიდრა ილია ჭავჭავაძემ და რომელიც თავის დროზე რუსულ ლიტერატურას განვითარების გზად დაუსახეს რევოლუციონერ-დემოკრატებმა, უწინარესად ბესარიონ ბელინსკიმ და ნიკოლაი ჩერნიშევსკიმ.

ვინაიდან „შეუფერავ რეალიზმს“ ხშირად ამსგავსებენ ან აიგივებენ კიდევ ნატურალიზმთან, საჭიროდ მივიჩნით ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი წერეთლის ესთეტიკურ შეხედულებებთან ერთად განგვეხილა ამ უკანასკნელის უდიდესი თეორეტიკოსის ემილ ზოლას ამგვარი ნააზრევი, რათა უკეთ წარმოგვეჩინა მათ შორის არსებული მსგავსება თუ განსხვავება. როგორც ცნობილია, ზოლას ლიტერატურულ-ესთეტიკური თეორია სამ ძირითად წყაროზეა აგებული, ესენია: 1. ოგიუსტ კონტის „პოზიტიური ფილოსოფიის კურსი,“ 2. იპოლიტ ტენის „ხელოვნების ფილოსოფია“ და 3. კლოდ ბერნარის „ექსპერიმენტული მედიცინის შესავალი.“

თავისი ესთეტიკური შეხედულებები ემილ ზოლამ ძირითადად ჩამოაყალიბა 1875-1880 წლებში რუსულ ჟურნალ „Петербургский вестник“-ში გამოქვეყნებულ სტატიებში: „ნატურალიზმი თეატრში,“ „სტენდალი,“ „ბალზაკი,“ „გუსტავ ფლობერი,“ „ექსპერიმენტული რომანი“ და სხვა. ფრანგი მწერალი მიიჩნევდა, რომ XIX საუკუნის 60-70-იანი წლების ევროპაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების სრულყოფილი ჩვენება მხატვრულ ლიტერატურას შეეძლო მხოლოდ ნატურალისტური მეთოდის გამოყენებით.

ემილ ზოლას მიაჩნდა, რომ ყველა ეპოქას თავისი მხატვრული ფორმა გააჩნია. ექსპერიმენტული მეცნიერების ეპოქაში ლიტერატურაც ეყრდნობა საზოგადოებრივი ყოფის მეცნიერულ ანალიზს, რადგან სიმართლე არავითარ შელამაზებას არ საჭიროებს, ამიტომაც იგი უნდა გამოჩნდეს მთელი თავისი სიშიშვლით. ყველა მოვლენა საკუთარი პოეზიის, თავისი სილამაზის მატარებელია, ვინაიდან „ჩვენს ირგვლივ ცხოვრობენ ჭეშმარიტი დიდებითა და ძლიერებით გამორჩეული გმირები და არა ეპოპეის შემქმნელთა მიერ დამზადებული მარიონეტები“ (ე. ზოლა, რჩეული თხზულებანი, ტ. XXV, გვ. 441, მოსკოვი 1967 წ.).

ემილ ზოლა ძალზე დიდ შეფასებას აძლევდა გუსტავ ფლობერის შემოქმედებას, განსაკუთრებით მის „მაღამ ბოვარის.“ ეს უკანასკნელი მას

ნატურალისტური რომანის ტიპურ მაგალითად მიიჩნდა. სწორედ ამ ფრანგი მწერლის შემოქმედებაზე დაწერილ სტატიაში ჩამოაყალიბა მან ნატურალისტური რომანისათვის დამახასიათებელი ის სამი ძირითადი თვისება, რომელიც უნდა იყოს ამოსავალი დებულება ყველა ნატურალისტი მწერლისათვის.

ნატურალისტური რომანისათვის დამახასიათებელ უპირველეს ნიშანს ემილ ზოლას აზრით, „წარმოადგენს ცხოვრების ზუსტი აღწერა,“ რომლის დროსაც მწერლის ფუნქცია დაიყვანება ყოფითი მოვლენების შერჩევასა და მათ ურთიერთშეხამებაზე ისეთნაირად, რომ მისი „მცდელობის შედეგად მივიღოთ ხელოვნებისა და მეცნიერების ძეგლი,“ რომელიც იუველური სიზუსტით უნდა აღწერდეს ცხოვრებისეულ მოვლენებს. მეორე თავისებურება ნატურალისტური რომანისა რეალური სინამდვილის ზუსტი, ოქმისებური აღწერაა, რადგან მწერალს თუ სურს „გადმოსცეს სადაგი ყოველდღიურობა, აუცილებლად უნდა დარჩეს მის ფარგლებში.“ ნატურალიზმის მესამე და განსაკუთრებით განმასხვავებელ ნიშნად ემილ ზოლა მიიჩნევს იმას, რომ „მწერალი მთლიანად უნდა ჩამოშორდეს იმ მოვლენებს, რომლებზეც მოგვითხრობს.“ იგი ამ შემთხვევაში უბრალოდ სტატისტიკა, რომელიც მხოლოდ კეთილსინდისიერად აღწერს რეალობის რომელიმე მხარეს ან რეალობას მთლიანად, ხოლო თავად წმინდა მხატვრული მოსახრებით განზე რჩება. (ე. ზოლა, რჩეული თხზულებანი, ტ. XXV, მოსკოვი, 1967 წ.).

ემილ ზოლა მიიჩნევდა, რომ მწერალი ერთდროულად დამკვირვებელიცაა და ექსპერიმენტატორიც. იგი არა მხოლოდ ირჩევს რეალური სინამდვილის ფაქტებს, არამედ რომანის წერისას ატარებს ექსპერიმენტს, შეჰყავს რა თავისი პერსონაჟი სხვადასხვა სიტუაციაში, რომელსაც თავად განკარგავს. სწორედ აქ ეძლევა ავტორის ტალანტს სრული თავისუფლება. ამავე დროს მწერალი უნდა ეყრდნობოდეს მეცნიერების მიღწევებს, რათა მხატვრული თხზულება იქცეს ადამიანის, როგორც ინდივიდის და საზოგადოების წევრის მეცნიერული შემეცნების წყაროდ. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ემილ ზოლამ, როგორც დიდმა შემოქმედმა, თვითონაც ვერ შეძლო თავის მხატვრულ შემოქმედებაში განუხრელად დაცვა საკუთარი ესთეტიკური შეხედულებანი. პირიქით, მოგვცა ჭეშმარიტად რეალისტური ტილოები, რომელთა ბადალი იშვიათია ფრანგულ და არა მხოლოდ ფრანგულ ლიტერატურში.

და ბოლოს, უნდა ითქვას ისიც, რაც შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანიც იყოს, მორალური სახე ზოლა მწერლისა და კრიტიკოსისა, სიმართლის მძებნელისა და დამცველისა ლიტერატურასა თუ კრიტიკაში დღემდე რჩება მისაბამ მაგალითად მომავალი თაობებისათვის, რომელთა მიმართ იგი ამბობდა: „ჩემი გადასაწყვეტი არაა

გავავრცელე თუ არა სინათლე, მაგრამ შემძლია ვამტკიცო, რომ მე ყოველთვის მინდოდა სინათლე და რომ მისკენ ერთი და იმავე გზით მივდიოდი, მქონდა რა ერთი მიზანი – ჭეშმარიტება.“ (ე. ზოლა, რჩეული თხზულებანი, ტ. XXV, გვ. 398, მოსკოვი, 1967 წ.).

**გიორგი წერეთელი – ქართული კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი და განმავითარებელი:** გიორგი წერეთელი მრავალმხრივ და ფართოდ განსწავლული პიროვნება, მწერალი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ, რომელიც მთელი ოთხი ათეული წელი დაუღალავად იღწვოდა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ სარბიელზე და უშუალოდ მონაწილეობდა მის დროს წამოჭრილი ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საჭირობოროტო საკითხის გადაწყვეტაში.

გიორგი წერეთელი არა მხოლოდ თანამედროვეა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისა, არამედ თანამოაზრე და თანამებრძოლიც. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი 1863 წელს „საქართველოს მოამბეში“ აქვეყნებს თავის ცნობილ წერილს „ცისკარს რა აკაკანებდა,“ რომელშიც მწერალმა ნათელჰყო თავისი საპროგრამო შეხედულებები და გაბედულად დაუპირისპირდა ე. წ. „მამათა“ ბანაკს.

„მეორე დასელების,“ კერძოდ, გიორგი წერეთლის მიერ წამოყენებული „შეუფერავი რეალიზმის“ ესთეტიკური პრინციპების განხილვა ჩვენ ვცადეთ ამ უკანასკნელის ფილოსოფიურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებსა და მათ საფუძველზე შექმნილ მხატვრულ შემოქმედებაზე დაყრდნობით. აქვე გვინდა ავღნიშნოთ ის გარემოება, ჩვენი სამოციანელის ამგვარ ნააზრევს ლიტერატურის ზოგიერთი მკვლევარი, შეიძლება ითქვას, ცალმხრივად მიუდგა, რამაც ისინი მიიყვანა, ჩვენი აზრით, მცდარ დასკვნამდე. ასე მოიქცა, მაგალითად კიტა აბაშიძე, რომელმაც მწერლის მხოლოდ მხატვრულ შემოქმედებაზე და თან თვითონ მისი წარმოდგენით სუსტ მხარეებზე დაყრდნობით „შეუფერავი რეალიზმი“ ნატურალიზმად მიიჩნია. გიორგი ჯიბლაძემ იგი კრიტიკულ რეალიზმსა და ნატურალიზმს შორის მოაქცია და რაღაც შუალედურ, ლიტერატურათმცოდნეობისათვის საერთოდ უცნობ მიმდინარეობას მიაკუთვნა. ვახტანგ ვახანიამ კი ნიკო ნიკოლაძის „შეუფერავი რეალიზმი“ კრიტიკულ რეალიზმად ჩათვალა, ხოლო გიორგი წერეთლისა – ნატურალიზმად.

გიორგი წერეთლის, როგორც საერთოდ ყველა მწერლის, ესთეტიკური კრედო, მხატვრული შემოქმედება მჭიდროდაა დაკავშირებული მის ფილოსოფიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებთან. უფრო მეტიც, მწერლის ესთეტიკური

ნააზრევის თავისებურებანი განსაზღვრულია მისი საბუნებისმეტყველო-მატერიალისტური ფილოსოფიითა და დემოკრატიული მსოფლმხედველობის შინაარსით. აქედან გამომდინარე გიორგი წერეთლის მხატვრულ-შემოქმედებითი მეთოდის თავისებურებათა შესწავლა ყოველად შეუძლებელია მათი გაცნობა-შესწავლისა და გათვალისწინების გარეშე.

როგორც ცნობილია, გიორგი წერეთელმა „მეორე დასის“ პროგრამა ასე ჩამოაყალიბა: 1. „ხელოვნურ სიტყვაკაზმულ მწერლობაში მან დაარსა ნამდვილი, შეუფერავი, შეუკეთებელი რეალიზმი. 2. პოლიტიკურ-ეკონომიკურ შეხედულებებში ის ემხრობოდა უფრო პოლიტეკონომისტის მილის თეორიას... და იმ თეორიას ადგა, რომ სახელმწიფო-კანონმდებლობითი ძალა შეერიოს ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის გამწვავებულ ბრძოლაში ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. 3. საზოგადოებრივი წყობილების განვითარებაში... მან წამოაყენა ნამდვილი ერი, რომელშიაც თანასწორი უფლებებით შედიოდნენ ყველა წოდებები... ხოლო დემოკრატიული წეს-წყობილება მიაჩნდა ასეთი ერის შესაფერად. 4. საკრედიტო დაწესებულებათა შორის ის ურჩევდა მოკლევადიან სამრეწველო ბანკების წეს-წყობილებას...“

თავის ესთეტიკურ ნააზრევში გიორგი წერეთელი ეყრდნობოდა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების, ძირითადად ნიკოლაი ჩერნიშევსკის იდეებს, ხოლო ფილოსოფიურ შეხედულებებში მოლემოტის, ბიუნენერისა და ფოიერბახის მატერიალიზმს. ამასთან მიაჩნდა, რომ კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა ახალი სიტყვა თქვეს ევროპულ აზროვნებაში. ამიტომ მისთვის მიუღებელი და უცხო არ ყოფილა თვით სოციალიზმის იდეაც, რასაც ადასტურებს თუნდაც მწერლის გარკვეული სიახლოვე „მესამე დასელებთან,“ მიუხედავად იმისა, რომ იგი ბევრ საკითხში არ ეთანხმებოდა ამ უკანასკნელთა მოსაზრებას, როგორცაა, მაგალითად ეროვნული საკითხი.

გიორგი წერეთლის ფილოსოფია, შეიძლება ითქვას, რომ არის „საბუნებისმეტყველო-მეცნიერული მატერიალიზმი,“ გამოყენებული მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრაქტიკული ამოცანების შესაბამისად. სწორედ აქედან გამომდინარე იყო, რომ იგი, როგორც დემოკრატი მწერალი და მოაზროვნე, მთელი მონდომებით ცდილობდა თავისი მსოფლმხედველობის პოპულარული ენით გადმოცემას, რათა იგი მისაწვდომი და გასაგები ყოფილიყო ფართო მასებისათვის. ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ გიორგი წერეთელი ხშირად უარს ამბობს რთული ფილოსოფიური ტერმინების ხმარებაზე და მათ ცვლის საყოველთაოდ ცნობილი სიტყვებით, რომლებიც ზოგჯერ



ადეკვატურად არ შეესაბამება იმ ფილოსოფიურ ცნებებს, რომელთა ნაცვლად ისინი არიან ნახმარი. ასე იქცეოდა არა მხოლოდ გიორგი წერეთელი, არამედ თითქმის მთელი იმდროინდელი ახალი თაობა.

იმ დროის ქართული საზოგადოების მოთხოვნილებების შესაბამისია გიორგი წერეთლის ესთეტიკური შეხედულებები და მხატვრულ-პუბლიცისტური შემოქმედება. მწერლის აზრით, ხელოვნება, ლიტერატურა უნდა ემსახურებოდეს საზოგადოების ინტერესებს. ხელოვანს ხალხში უნდა შეჰქონდეს ცოცხალი აზრები, მოწინავე იდეები და უჩვენებდეს მას გზას მომავლისაკენ, მოუწოდებდეს არსებული ცხოვრებისეული სინამდვილის გარდაქმნისაკენ. ლიტერატურის ძირითადი მიზანი სინამდვილის მხატვრული ასახვაა ისე, როგორც არის და არა ისე, როგორც სასურველია რომ იყოს. ამ უკანასკნელს იგი „ტენდენციურ მიმართულებას“ უწოდებს და მთლიანად ემიჯნება მას, თეორიულად მაინც.

გიორგი წერეთლის აზრით, მწერალი, როგორც საზოგადოების აქტიური წევრი, ხალხის მსახურებასთან ერთად, ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოების პროგრესსა და განვითარებას. ეს კი შეუძლია მხოლოდ რეალური, შეუფერავი ლიტერატურის მიმდევარს, რომელიც ასახავს და კიცხავს საზოგადოების მანკიერ მხარეებს და ამავე დროს უჩვენებს გზას მისი გამოსწორებისაკენ. ამგვარი წარმოდგენა ლიტერატურისა და მწერლის მოვალეობა-დანიშნულებაზე საერთოა ყველა სამოციანეულისათვის და ჩვენ ვერანაირ სხვაობას ვერ ვხედავთ ამ საკითხის გარშემო გიორგი წერეთლისა და სხვა თერგდალეულთა შეხედულებებს შორის, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია.

იმ დროინდელი ქართული საზოგადოების მოთხოვნილებების შესაბამისია გიორგი წერეთლის მხატვრულ-ლიტერატურული შემოქმედება. სხვაგვარად წარმოდგენელიცაა, ვინაიდან იგი იყო სამოციანელთა ტიპური წარმომადგენელი და სხვათა მსგავსად პოეტიცა და პუბლიცისტიც, რედაქტორ-გამომცემელიცა და დრამატურგიც. „რასაკვირველია, ნიჭისა და ცოდნის ასეთი დაქსაქსვა თვით პროდუქციის ღირებულებაზე ახდენდა გარკვეულ გავლენას, – მის ზოგიერთ ნაწერს ეს უცილობლად ატყვია.“ – წერდა სილოვან ხუნდაძე გიორგი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის I ტომის წინასიტყვაობაში. ამასვე აღნიშნავდნენ თავის დროზე აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, კიტა აბაშიძე და სხვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მისი შემოქმედების მრავალმხრივობა ზერელობის შედეგი კი არაა, არამედ ავტორი დაკვირვებული თვალთ აკვირდება ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს და მხატვრული თუ მეცნიერული გზებით ცდილობს მის ძირითად ამოცანათა გარკვევას, რომელიც იმდენად საგულისხმოა,

რამდენადაც სწორედ აქ გამოჩნდა გიორგი წერეთლის ორიგინალობა. მხატვრული შემოქმედების ერთგვარი თემატური „სიღარიბე“ კი მწერლის უნიჭობის ბრალი არ არის, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ჰგონია, არამედ გამოწვეულია მაშინდელი ქართული სინამდვილით, რომელსაც თავისი მრწამსიდან გამომდინარე იგი გვერდს ვერ აუვლიდა და რომელიც თავის მხრივ თვითონ იყო ერთფეროვანი. ამიტომაცაა, რომ თემატური ერთფეროვნება და ერთგვარი სიღარიბე ახასიათებს XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურას საერთოდ. შეიძლება ითქვას, რომ გ. წერეთლის შემოქმედება მიხეილ ზანდუკელის სამართლიანი შენიშვნით, თემატურად ყველაზე მრავალფეროვანია, ვინაიდან თითქმის მთლიანად მოიცავს მაშინდელი ქართული საზოგადოებრივი ყოფის ყოველი სფეროს.

გიორგი წერეთლის აზრით, ის არსებითი სხვაობა, რაც არსებობს „შეუფერავი რეალიზმისა“ და პირველდასელების, კერძოდ ილია ჭავჭავაძის, ესთეტიკურ შეხედულებებს შორის ეხება მხატვრული სახის ტიპურობის საკითხს. პირველი მათგანი უპირატესობას ანიჭებდა ე. წ. „ცოცხალ ტიპს“, რეალური სინამდვილიდან აღებულს, ხოლო მეორე – უფრო მხატვრული გამონაგონის გზით შექმნილს, რომელიც ცხოვრებისეული რეალობის განზოგადების საშუალებითაა მიღებული. შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე სინამდვილეზე დაკვირვების შედეგად მხატვრული ფანტაზიით ქმნის რეალური ცხოვრების განზოგადებულ სახე-ტიპს. მაშინ როცა გიორგი წერეთელი კონკრეტული სინამდვილიდან იღებს ზოგადი თვისებების მატარებელ კონკრეტულ სახეს და სხვადასხვა გარემოში მოქცევით ანიჭებს მას ტიპურისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. ამ მიზნით იგი ხშირად იყენებდა ხელოვნურად მოგონილ, ე. წ. მეტყველ, ანუ მიმანიშნებელ გვარ-სახელებს, როგორიცაა: წუნკალა, სივილა, ფულავა („პირველი ნაბიჯი“), ჯიბიაშვილი, კვიმატაძე („რუხი მგელი“) და სხვა. ალბათ ამითვე აიხსნება ის გარემოება, რომ გიორგი წერეთლის პერსონაჟების ნაწილს თავისი პროტოტიპი ჰყავდა მის თანამემამულეთა შორის. და ეს მაშინ, როცა ილია ჭავჭავაძის გმირებს ხშირად კონკრეტული გვარ-სახელიც კი არ გააჩნია, ან მხოლოდ სახელითაა გამოყვანილი. ასე მაგალითად: მყინვარზე მდგომი მოხუცი („აჩრდილი“), ზაქრო, ზაქროს მამა, ბატონი, მეურმე („კაკო ყაჩაღი“), პეპია, დათიკო, („გლახის ნაამბობი“), არჩილი, კესო („ოთარაანთ ქვრივი“) და მრავალი სხვა.

იღვიდან სინამდვილისაკენ („პირველდასელები“) და სინამდვილიდან იღვისაკენ („მეორედასელები“) – პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს შეკეთებულ, შეფერილ რეალიზმთან, ხოლო მეორე შემთხვევაში – შეუკეთებელ, შეუფერავ რეალიზმთან, რაც პრინციპში მედლის ორ მხარეს წარმოადგენს. ე. ი. ტიპისა და

ტიპურობის საკითხთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძისა და გიორგი წერეთლის შეხედულებებსა თუ შემოქმედებას შორის საქმე გვაქვს არა პრინციპულ სხვაობასთან, არამედ საკითხისადმი განსხვავებული კუთხით მიდგომასთან. ეს, ბუნებრივია, სრულიადაც არ ცვლის ამ საკითხის ძირითად არსს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ამა თუ იმ საკითხისადმი მეთოდოლოგიური მიდგომის გარდა, პირველი და მეორე „დასის“ წარმომადგენელთა შეხედულებებს შორის პრინციპული სხვაობა არ არსებობს. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ თავისი „შეუფერავი რეალიზმით“ გიორგი წერეთელი კი არ უპირისპირდება კრიტიკულ რეალიზმს, არამედ ავითარებს მას ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესაბამისად თავისი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე. ასეთ შეხედულებას იზიარებდა მრავალი ლიტერატურათმცოდნე, მაგალითად: დ. გამეხარდაშვილი, ვ. კოტეტიშვილი, ს. ხუნდაძე, ო. ჭურღულია და სხვ..

როგორც ცნობილია, ნატურალიზმი უპირატესობას ანიჭებს ბიოლოგიურ საწყისებს სოციალურთან შედარებით, მაშინ როცა გიორგი წერეთელი, მართალია, იყენებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიღწევებს, მაგრამ არასოდეს აყენებს წინ პირველ მათგანს. ამავე დროს ნატურალიზმი მიიჩნევს, რომ მხოლოდ გარემო მოქმედებს პიროვნებაზე და პირიქით არასდროს. ჩვენი სამოციანელი კი აღიარებს მათ ურთიერთშემოქმედებას, ვინაიდან ინდივიდი როგორც ფიზიოლოგიურ-ფსიქოლოგიური არსება, იმავე დროს სოციუმის წევრიცაა, რომელიც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ თვისებებთან ერთად გარკვეული სოციალური ფენისა თუ ზოგადსაკაცობრიო ნიშნების მატარებელიცაა. ყურადსადეგია ის გარემოებაც, რომ XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ემილ ზოლას ესთეტიკური შეხედულებებით აღტაცებული გიორგი წერეთელი უკვე აკრიტიკებს ფრანგ რომანისტს და მის რეალიზმს „ულტრა რეალიზმს უწოდებს.“

ის ფაქტი, რომ გიორგი წერეთლის „შეუფერავი რეალიზმი“ კრიტიკული რეალიზმია და არა ნატურალიზმი, დასტურდება მისი მხატვრული შემოქმედებითაც, რაც, ჩვენი აზრით, უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე ესთეტიკური ნააზრევი. მიუხედავად ამისა, მწერლის თხზულებებში გვხვდება მხატვრულად სუსტი მხარეები. ასე მაგალითად: მკრთალია კიკოლიკის, ჩიკოლიკის („მგზავრის წიგნები“), ნიკოლაი ნიკიფოროვიჩის („გულქანი“) და სხვა მხატვრული სახეები; ცალკეულ ნაწარმოებებში თხრობა მეტისმეტად გაჭიანურებული და დეტალიზირებულია; პერსონაჟთა პორტრეტის ხატვისას ხშირად ვხვდებით ერთგვაროვან, შაბლონურ ეპითეტებს და სხვ.. მაგრამ იქვე ვხედავთ იმ დროინდელი ქართული საზოგადოების რეალური სინამდვილის ჭეშმარიტად რეალურ სურათებს. უფრო მეტიც,

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ გიორგი წერეთელზე ღრმად და სრულყოფილად არც ერთ მწერალს არ აუხასხავს XIX საუკუნის ქართული სინამდვილის სურათები. ამიტომ მას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ დოკუმენტური პროზის ფუძემდებელი და ქართული ლიტერატურის ჭეშმარიტი კლასიკოსი.

**დასკვნა:** დასკვნაში განზოგადებულია რეალიზმის წარმოშობისა და განვითარების პრობლემები როგორც ქართულ, ისე ევროპულ ლიტერატურაში, რომლებიც განხილულია ნაშრომის ძირითად ნაწილში. ქართული კულტურა, მათ შორის მხატვრული ლიტერატურა, ტიპოლოგიურად ყოველთვის დასავლური იყო. ამიტომ მათ შორის განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ბუნებრივ სხვაობასთან ერთად, არსებობდა მნიშვნელოვანი მსგავსებაც. ასე მაგალითად, რეალიზმის, როგორც შემოქმედებითი მეთოდის წარმოშობა და განვითარება. პირველი და მეორე „დასის“ ესთეტიკური შეხედულებებისა და ემილ ზოლას ნატურალიზმის თეორიის შედარებითმა ანალიზმმა მიგვიყვანა, ჩვენი აზრით, სრულიად ლოგიკურ დასკვნამდე, რომ „შეფერილ“ და „შეუფერავ“ რეალიზმს შორის ბუნებრივ უმნიშვნელო სხვაობასთან ერთად არსებობს ნიშნელოვანი და პრინციპული მსგავსება. მაშინ, როცა ნატურალიზმსა და გიორგი წერეთლის „შეუფერავ რეალიზმს“ შორის შეინიშნება უმნიშვნელო მსგავსება და პრინციპული სხვაობა. ეს კი გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ „შეუფერავი რეალიზმი“ წარმოადგენს არა ნატურალიზმს, ან სხვა ჩვენთვის უცნობ ლიტერატურულ მიმდინარეობას, არამედ კრიტიკული რეალიზმის განვითარების გარკვეულ საფეხურს, მისადაგებულს XIX საუკუნის 70-იანი წლებში საქართველოში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისადმი.

აქვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ცალკეულ ლიტერატურულ მიმდინარეობათა ესთეტიკურ ნააზრევს ახასიათებთ გარკვეული მეთოდოლოგიური შეზღუდულობა. ეს კი ხშირად არ იძლევა ამა თუ იმ ხელოვანის მხატვრული შემოქმედებისა და ესთეტიკური შეხედულებების სწორად და სრულყოფილად გაგების შესაძლებლობას. მით უმეტეს, რომ ყოველი მწერალი სინამდვილეზე დაყრდნობით თვითონ ქმნის ახალ რეალობას და ამაში მას ეხმარება საკუთარი მსოფლმხედველობა, ინდივიდუალური მხატვრული ხედვა, შემოქმედებითი ნიჭი და მწერლური ენერჯია. ამავე დროს არც ერთი შემოქმედი არ უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რა უნდა მოეცა მას დღევანდელი თვალთახედვიდის მიხედვით, არამედ იმით, თუ რა მოგვცა თავისი თანამედროვე ვითარებიდან გამომდინარე გარკვეულ ტრადიციებზე დაყრდნობით. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ

ვერც ერთი დიდი მწერალი ვერ ეტევა რომელიმე ერთი მიმდინარეობის, მით უმეტეს ქვემიმდინარეობისა თუ სკოლის ჩარჩოებში – ის აფართოებს მის საზღვრებს და თავისი შემოქმედებით მთელ ეპოქას მოიცავს.

თუ ამ კუთხით შევხედავთ გიორგი წერეთლის შემოქმედებასა და ესთეტიკურ ნააზრევს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ ის როგორც მწერალი, ლიტერატურის თეორეტიკოსი და კრიტიკოსი „თერგდალეულთა“ თაობის ღირსეული წარმომადგენელია, ხოლო მის მიერ საკუთარ შემოქმედებით მეთოდად აღიარებული „შეუფერავი რეალიზმი“ იგივე კრიტიკული რეალიზმია მორგებული მწერლის თანადროულ ვითარებას.

**დისერტაციის ზოგიერთი ნაწილი გამოქვეყნებულია რეფერირებად ჟურნალებში, მაგალითად:** I. „რეალიზმის ელემენტები კლასიკური ხანის (XII-XIII სს.) ქართულ საერო ლიტერატურაში,“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის სამეცნიერო-სალიტერატურო ჟურნალი „მაფშალია,“ N8, ქ. ზუგდიდი, 2002 წელი, გვ. 83-88; II. „რეალიზმის ელემენტებისათვის V-X საუკუნეების ქართულ ჰაგიოგრაფიაში,“ აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პერიოდული ორგანო „აფხაზეთის მოამბე,“ N6-7, ქ. თბილისი, 2002-2003 წლები, გვ. 82-84; III. „რეალიზმის საკითხისათვის აღორძინების ხანის (XVI-XVIII სს.) ქართულ მწერლობაში,“ „აფხაზეთის მოამბე,“ N8, ქ.თბილისი, 2004 წ., გვ. 115-121; IV. „XIX საუკუნემდელი ევროპული ლიტერატურის ზოგადი დახასიათება რეალიზმის თვალთახედვით,“ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები (ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია), ტ. II, ქ. თბილისი, 2008 წ., გვ. 76-90; V. „ზოგიერთი მეტყველი გვარ-სახელი გიორგი წერეთლისა და ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში,“ 2009 წლის 3 აპრილის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ქ. თბილისი, 2009 წ. გვ. 53-63.

ЮЛПП СУХУМСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ  
ФАКУЛТЕТ ГУМЫНТТАРНЫХ И СОЦИАЛЬНО –  
ПОЛИТИЧЕСКИХ НАУК

На правах рукописи

КОТЭ ТОДУА

Георги Церетели и проблемы реализма в грузинской литературе

А В Т О Р Е Ф Е Р А Т

Диссертации, представленной на соискание учёной степени доктора  
филологии (Ph.D) ЮЛПП Сухумского государственного  
университета

Тбилиси 2009

Работа выполнена на факультете гуманитарных и социально – политических наук  
ЮЛПП Сухумского государственного университета

Научный руководитель:

**Нино Вахания**

Доктор филологических наук  
асоц. профессор Сухумского  
государственного университета

Официальные опоненты:

**Медея Кварацхелиа**

Доктор филологии

**Емзар Квитаишвили**

Доктор филологических наук  
Старший научный сотрудник  
института грузинской  
литературы

Защита диссертации состоится 4.XII. 2009 года в 12 часов на заседании  
диссертационной коллегии факультета гуманитарных и социально – политических  
наук Сухумского государственного университета

**Адрес: Тбилиси, ул. Джикия №9**

С диссертацией можно ознакомиться в научной библиотеке Сухумского  
государственного университета

И.о. учёного секретаря диссертационного совета

Доктор филологических наук

полный профессор

**О. Петриашвили**

## Общая характеристика труда

**Актуальность темы и научное новшество:** Между социально-экономическим развитием и искусством, художественной литературой существует тесная связь, потому что всякое значительное явление вводит отражение в художественном творчестве. Такие явления в жизни грузинского народа четко выявились после буржуазных реформ, осуществленных царской Россией в 60-70 годах XIX-ого века. В результате началась определенная либерализация общественных отношений, крушение и без того непрочного натурального хозяйства и утверждение капиталистического уклада производства; быстрое обеднение, нравственное перерождение дворянства, дифференциация бывших крепостных, быстрый рост нового социального слоя – торгово-ростовщической буржуазии и др. Эти явления в Грузии, правда, начались ранее, но именно к этому времени (60-70-ые годы) стали заметными. Все это выдвинуло на первый план проблему художественного отражения новых социально-экономических отношений и, впоследствии, протекающих в общественной жизни явлений. Хотелось бы добавить, что за весь период своего существования, для грузинской литературы никогда не было чуждо и неприемлемо отображение интересов своего народа в соответствии с протекающими в стране общественными явлениями.

Именно в 60-70-ые годы XIX-ого века выходит на литературное и общественное поприще достойный представитель „тергдалеули“ Георгий Церетели. Он правдиво оценил существующую обстановку и своими эстетическими воззрениями и художественно-публицистическим творчеством способствовал утверждению критического реализма в нашей литературе вместе с другими „тергдалеули.“ Более того, он приспособил это литературное течение к



своим современным требованиям и даже поднял его на определенную ступень развития.

Г. Церетели, как неприступный летописец общественной жизни, отобразил все те основные процессы и более менее значительные явления, которые проявились во второй половине XIX-ого века. В его художественных произведениях можно обильно встретить известные факты общественной жизни того времени, исторических деталей, автобиографических моментов – от зоркого глаза писателя ничего не остается незамеченным. Его свободно можно называть мастером социальной и документальной прозы.

Г. Церетели в нашем критическом мышлении поднял до принципиальной высоты выдвинутый Н. Николадзе принцип т.н. «неприкрашенного реализма», чем в определенной степени противостоял „пирвели даси“, в частности, „прикрашенному реализму“ (как он сам его называл) И. Чавчавадзе. Именно это в XIX-ом же веке вызвало разные мнения о его творчестве, что практически продолжается по сей день. Некоторые литературоведы (К. Абашидзе, В. Вахания) отождествляют его с натурализмом, а некоторые так не считают, но Г. Джибладзе отделяет его от критического реализма и, если можно так выразиться, помещает его между ними (критическим реализмом и натурализмом). Однако, как известно, такого течения литературоведение вовсе не знает. Большинство ученых считают, что «неприкрашенный реализм» есть то же, что и критический реализм, и между ними нет существенной или принципиальной разницы. Эту точку зрения разделяют М. Зандукели, А. Махорадзе, А. Чилаия, О. Чургулия, Д. Гамезардашвили и многие другие. И мы считаем, что „неприкрашенный реализм“ Г. Церетели есть то же, что и критический реализм, который писатель, исходя из потребностей современности, поднял до определенного уровня развития, а противоречие с И. Чавчавадзе в некоторых вопросах литературы

вызвано полемической остротой, а не явной неприемлемостью к его творческому методу.

Изучения художественно-публицистического творчества Г. Церетели в свое время коснулся не один исследователь-историк, но систематическое и полноценное научное исследование всего многогранного творчества писателя по сей день не проводилось. Правда, к изданию собраний его сочинений в 15 томах приступил С. Хундадзе, но к сожалению, не довелось. Грузинский читатель вообще не видел такого издания, в котором было бы собрано все, что создал Г. Церетели: публицистические статьи, романы, рассказы, пьесы, поэмы, стихи, сказки, частные письма и др.. Много было сделано для того, чтобы оценить его творчество, но мы считаем, что этого еще недостаточно и опять остается в силе огорчение писателя-народника Софрома Мгалоблишвили, сказанное им в 1914 году: „Этот неутомимый и искренний деятель до сих пор порядочно не оценен нашей критикой.. Огорчительно такое равнодушие к Георгию.“ Наш труд представляет скромную попытку заполнить названный пробел рассмотрением реализма, как литературного течения.

Труд является скромной попыткой научного и систематического изучения – анализа художественно-публицистического творчества и эстетико-философских взглядов Г. Церетели, вместе с общим обзором возникновения и развития реализма как в грузинской, так и в европейской литературе в общем. С этой целью мы попытались сравнить эстетические воззрения „пирвели даси“ (И.Чавчавадзе, А.Церетели) и „меоре даси“ (Н.Николадзе), теоретика натурализма Эмиля Золя и Георгия Церетели; а также нашей целью являлся идейно-художественный анализ произведений Г.Церетели с показом его специфики и представление мировоззрения и литературных взглядов писателя. Все это, в конечном счете, привело нас до логического заключения, что между „неприкрашенным реализмом“ Г.Церетели и „прикрашенным реализмом“

И.Чавчавадзе нет принципиального различия и он (неприкрашенный реализм) является не натурализмом, а определенной степенью развития, утвержденного у нас „пирвели даси“ критического реализма, исходя из потребностей современности писателя. Кроме того, мы до известной степени, выявили и уточнили стилистические особенности сочинений достойного шестидесятника.

**Структура и объем диссертации:** Диссертация составляет 184 отпечатанных на компьютере страницы (без библиографии). Она состоит из резюме-вступления, шести глав, заключения и библиографии. 1.Вступление стр. 1-4; 2.Степень изучения исследуемой проблемы стр. 5 – 15; 3.Основная часть состоит из 7 глав, стр. 16-166; Список использованной литературы насчитывает 122 наименование.

### **Основное содержание труда**

Во вступлении (общая характеристика возникновения реализма) показано, что литература, как одна из главнейших и древнейших видов искусства, с помощью художественного слова познает окружающий мир и вместе с развитием общества неоднородно, но неуклонно развивается и исторически изменчива, так как представляет процесс взаимодействий устойчивости и изменчивости, наследственности и новаторства. В то же время, она показывает жизнь индивида в недрах общества или народа. Человек, общество в целом, или какой-либо социальный слой и природа со своими взаимодействиями, являются предметом отображения литературы, а слово – постоянным и неизменным строительным материалом художественного образа.

Литература, с одной стороны, отображает реальные картины действительности описанием истинных и исторических фактов, или с помощью художественного вымысла, который является результатом обобщения реального быта и часто более правдивым, чем действительность; с другой стороны, она

представляет собой передачу отношения автора, творца к этой реальности или показывает то чувство-настроение, которое то или иное явление вызывает во внутреннем мире писателя. Это последнее со своей стороны вызвано реальной действительностью и является результатом реального воображения реального человека. Исходя из этого, „сущность художественной литературы состоит в художественном отображении действительности. Достоинство каждого литературного произведения определяется тем, насколько полноценно и высокохудожественно отображает действительность, ее существенные стороны“ (Д. Гамезардашвили, очерки из грузинского реализма, часть II, стр.7, Тб., 1957 г.)

В решении этой большой задачи одну из главных ролей играет художественный метод. Этот последний исторически связан с сознанием, с уровнем общественного разума. При этом, в его усовершенствовании и формулировании окончательной формы, важнейшую роль играет мировоззрение и талант самого творца.

Наряду с протекающими в обществе историческими переменами менялись художественные методы или имели место их развитие и кризис, но никогда в литературе разных народов, в том числе грузинской, не разрывалась единая цепь развития. Предшествующая литература всегда оказывала влияние на последующую.

Реализм или его элементы, безусловно, в различных дозах и формах характерны для искусства всех времен, в том числе и для художественной литературы. В настоящее время уже неоспорим тот факт, что т.н. „примитивный реализм“ характерен для художественного творчества человека самой преисторической эпохи – каменного века. Он является не только отображением действительности, но и носителем определенного мировоззрения. Что касается искусства античной эпохи, оно одновременно содержало реалистические и иллюзионно-фантастические, но для тогдашнего читателя достоверные

представления о мире; оно содержало стихийную диалектику, утверждало концепцию единства личности и общества, внутреннего мира индивида. Литература считалась подражанием действительности, как механический (Платон) так и творческий (Аристотель) процесс, который невообразим без единого исторического развития человечества (Лукреций).. Она передавала действительность или отношение к ней с помощью мифов, как первоисточников, и поэтому ее свободно можно назвать мифическим, мифолого-античным реализмом, для которого характерна геройская концепция человека, которая утверждала идею гармоничности внутреннего мира личности, общества, индивида. Однако он подчиняется необходимости и часто не в силах избежать собственной гибели, но все же борется, и только в свободном действии выявляется и необходимость.

Античный реализм создал идеал прекрасного и храброго человека, образ духовно и физически усовершенствованного героя - героя, который живет в гармонии с окружающим миром, населенном, по фантазии древних греков и римлян, мифическими существами, богами и героями, носителями положительных или отрицательных человеческих черт. Подтверждение этому – художественное творчество Гомера, Эсхилла, Еврипида, Софокла, Вергилия, Лукреция и др.

Христианская религия оказала огромное влияние как на литературу Западной Европы, так и на литературу Византии, которая возникла на традициях античности. Это вызвало включение в искусство регламентированных, иконографических схем. В результате, гармоничного героя античной эпохи сменил догматически обранный, набожный и преданный христианин, для которого важнее всего вера, которая – как абсолютная истина – достигается сверхвнушением. В это же время, под влиянием античной философии появляется идея, что путь к Богу вместе с верой проходил через познание

человека и природы (Аврелий, Моше Маймонид, Фома Аквинский). А это способствовало наряду с церковной литературой, развитию земской литературы. Яркое подтверждение тому – „Песнь о Ролланде,“ „Песнь о моем Сиде,“ „Беовульф“ и др. Поэтому литературу того периода, как результат интеллектуального восприятия мира, как средство отображения реальной жизни с элементами фантастики, можно назвать аллегорично-символическим реализмом средних веков.

Литература эпохи Возрождения попыталась объяснить мироздание своими же силами. Она обнаружила в человеке свободного в своем действии индивида, показала победоносность и красоту личности, титанической по своей природе, и в то же время трагичной, освобожденной от средневекового аскетизма. Для гуманизма этого времени характерно сомнение в правомерности существования человека, как один из элементов его продуктивности и средство выражения различности, а не жизненное кредо. Короче говоря, это реализм Возрождения, который, наряду с новыми признаками, обязательно носит характерные черты средневековья и особенно – античной эпохи.

Литература эпохи Возрождения попыталась показать мир таким, каков он есть, найти ему внутреннее объяснение, исходя из его же материальной природы – таков реализм Рабле, Шекспира, Сервантеса и др. Литература этого периода освободила человека от рабства аскетизма и утвердила принцип – „делай что хочешь.“ Именно в этом - ее величие и слабость.

Литература XVII-XVIII веков развивается на фоне обостренной социальной обстановки, когда позиции аристократии колеблет экономически окрепшая буржуазия. Свободного индивидуалиста с титанической природой эпохи Возрождения, в литературе этого периода сменяет ловкий, умелый в рамках политики, борющийся за свободу гражданин, который старается утвердить свое место в обществе путем образования. В то же время,

художественные сочинения писателей этого периода содержат и критику существующей социально-политической обстановки и намечают пути ее изменения. Основным объектом сделана суть социальных характеров, но типичные характеры здесь действуют в экспериментальной, а не типичной среде. Таковы творчество Д.Деффо, Дж.Свифта, Г.Филдинда, А.Бомарше и др. Это было результатом того идейного движения, которое известно под названием просвещения. Его основоположник – английский мыслитель Джон Локк. Вершину развития Просвещение достигло во Франции. Оно дало блестящую плеяду в лице Вольтера, Дидро, Монтескье, Руссо. Они в литературе, да и в искусстве в целом, утвердили просветительский реализм. Это была эпоха, дух которой так определил известный немецкий философ Иммануил Кант – „постарайся понять.“

На рубеже XVIII-XIX веков всеобщее разочарование в преобразовании общественного быта и в возможности установления социального строя, основанного на свободе и равновесии, породило в Европе новое литературное течение под названием романтизм, в центре внимания которого оказался внутренний мир неординарной личности. Однако и для этого течения не являются чуждыми и неприемлемыми элементы реализма, хотя бы с точки зрения того, что его гордый герой, своим одиночеством и отрицанием действительности, сам олицетворяет реальность. Писатель-романтик сам создает желаемую художественную реальность, которая для него более значительна, чем сама реальность. Романтический герой не находится в обыденной жизни, а в особой обстановке, хотя именно в этом и есть источник его общественной пользы.

Произошедшие в XIX веке революционные достижения в науке и технике породили мировую систему хозяйственности и вовлекли в производство все социальные слои, что вызвало искоренение существующего между ними

различия. Все это породило критический реализм, для которого характерны острый критический пафос с целью исправления недостатков обобщения реальности и выражения типичных образов в типичных обстоятельствах с защитой гуманных идеалов.

Если романтизм был предчувствием первоначального беспорядка нового уклада жизни, критический реализм познал и испытал на себе его нечеловеческую натуру, что и превратило его трезвое искусство „потерянных“ иллюзий. Для этого течения эстетический идеал утверждается путем отрицания, и он является своего рода судом, устроенным для общества, который сделал главной задачей литературы описание действительности и вынос приговора ей.

Следует отметить, что критический реализм, начиная с 20-30-ых годов XIX века продолжает свое существование и по сей день, несмотря на возникновение и развитие за весь этот период разных модернистских и авангардных литературных направлений.

Если главная цель литературы – художественное изображение действительности и это так, то, исходя из всего вышесказанного, можно утверждать, что реализм, как литературное направление, существовал в литературах всех времен и народов. За весь период своего существования до утверждения критического реализма (20-30-ые годы XIX века), в соответствии с изменением социально-экономического строя общества, сменой научно-технического уровня или мировоззрения, он прошел несколько этапов развития; все они соответствовали общественным требованиям той эпохи и во многом обуславливали ее прогресс. Так что до критического реализма и существующих после него литературных направлений, наряду с отличительными чертами, характеризует тот основной принцип, который называется художественным изображением реальной действительности.



**К вопросам возникновения реализма в грузинской литературе:** Грузинская литература – одна из древнейших и богатейших среди художественных литератур культурных народов. Типологически она всегда была западной, несмотря на то, что усваивала и по-своему перерабатывала достижения восточной, в основном, персидской и западной культур. В разные эпохи она характеризуется определенными своеобразиями, исходя из существующих социально-политических или культурных обстановок, что вполне естественно, но, в то же время, можно сказать, что через грузинскую литературу за все время своего развития, наряду с гуманизмом, красной нитью проходит реалистический принцип „истинного описания“ и „правдивосказание“ до формирования критического реализма.

Первый подпериод (V-XI вв.) древнегрузинской литературы (V-XVIII вв.), как известно, характеризуется господством церковной литературы. Грузинские агиографические памятники этой эпохи совершенно реалистичны в том плане, что передают конкретную историческую действительность, и действующими лицами, помимо редких исключений, представлены конкретные исторические лица. Грузинская литература, исходя из суровой реальности, в эпоху натиска сначала огнепоклонства, а потом мусульманства, острыми художественными формами выражала конкретную действительность, знакомила читателя с героическими деяниями тех соотечественников, которые жертвовали собой во имя веры, жизни для распространения и укрепления христианства. Поэтому, естественно, писатель-агиограф, увиденную через определенное мировоззрение.

Явно, что в грузинской литературе этого периода не было разработанных и сформулированных конкретных литературных воззрений, но в агиографических сочинениях вышесказанные авторами некоторые соображения и анализ самих произведений дает право заключить, что для грузинской

